საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი 10 იანვარი, 1920 წ.

ერთობა

ფასი 2 მანეთი

გაზეთის ფასი 1 თვით 50 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 4 მანეთი. მეოთხე გვერდზე 3 მან. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 80 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება.
რედაქციის და კანტორის ადრესი: რუსთაველის პრ. № 24.
ტელეფონი 16—62.

№ 6 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 6

უღრმეს მწუხარებასა შინა მყოფნი: მეუღლე მელიტონ, მშობლები: პინა და გაბრიელ, დები: ელენე, ქეთია და ანეტა, ძმები: დათიკო და ვანო ესაძეები, რძლები: კატო და მარო შვილებითურთ, მაზლები: სიმონ და დიომიდე ურუშაძენი, მული კატო სალუქვაძისა შვილებითურთ, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ შაბათს 10 იანვარს (ახ. სტ.) გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ქალაქ ოზურგეთში მოიდანახის ეკლესიაში მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარის

ნინა გაბრიელის ასულის ურუშაძის

სულის მოსახსენიებლათ. (83 2—2)

თავზარდაცემულნი: დედა კამეტი, მამა გიორგი, ძმა აკაკი, და ფატი, ბებია ქრისტინე, ბიძები: ირაკლი, ფილიპე, ილია და იასონი; ბიცოლები: კესარია, ელენე და მარო, ბიძაშვილები: ვლასა, ზინობი, ლიუბა, მიშა და ვახტანგი სიხარულიძეები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 7 იანვარს გარდაიცვალა ჩოხატაურის უმაღ. დაწყ. სასწავლებლის მე-4 კლასის მოსწავლე, მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ციფულო (ელპიტი) გიორგის ასული სიხარულიძე

დასაფლავება მოხდება შაბათს, 10 იანვარს (ახალი სტილით) დილის 12 საათზე, სოფ. ბუკისციხის, იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის გალავანში. (102 1—1)

ღრმად დამწუხრებულნი: ბიცოლა მარო, ბიძები: ილია და იასონი, ბიძაშვილი ვახტანგი სიხარულიძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ჩოხატაურის უმაღლეს დაწყ. სასწავლებლის მე-4 კლასის მოსწავლე, მათთვის ძვირფასი და მარად დაუვიწყარი

ციფულო (ელპიტი) გიორგის ასული სიხარულიძე

დასაფლავება მოხდება შაბათს, 10 იანვარს (ახალი სტილით) სოფ. ბუკისციხის ნათლის მცემლის ეკლესიის გალავანში დილის 12 საათზე. (102 1—1)

ოზურგეთის მაზრის ექიმის თანაშემწეთა და ბებია ქალთა პროფესიონალური კავშირის გამგეობა თავის ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს საუკეთესო ამხანაგის

ივანე საათაშვილის

უდროოდ გარდაცვალების გამო. (104 1—1)

დედა ელისაბედ სიმონის ასული, ძმა სიკო თავის მეუღლე ეკატერინეთი, დები ნინო შვილებით და ქეთევან აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 11 იანვარს პეტრე-პავლეს ეკლესიაში გადახდილ იქნება გარდაცვალებიდან 6 თვის აღსანიშნავად წირვა და პანაშვიდი უდროოდ გარდაცვალებულ კიევის უნივერსიტეტის სტუდენტის პოდპორუჩიკ

ალექსანდრე გრიგორის ძე თიოგერიძეს

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება 10 საათზე (ნ. 2—1)

ღრმად დამწუხრებულნი: მამა პავლე, დედა ელისაბედ, ძმა მელარიონი, რძალი შურა, ძმისშვილი ანგელინა, დაი აგრაფინა, ძმები: დიონისი, ერემია, მიშა და სილოვან რაზმაძეები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ დღეს, 10 იანვარს (ახალი სტ.) სოფ. ლანირში წმინდა გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი, მათთვის დაუვიწყარი

თეკლე პავლეს ასული რაზმაძე-მიქაძისა

სულის მოსახსენებლად. (101 1—1)

თავზარდაცემულნი ამხანაგები: გერასიმე და მიშა (მიხაკო) ქავთარაძენი, იესიხი ვასაძე, გრიშა გუგუნიძე სიმონ კახიანი და პოკო გოცირიძე აუწყებენ ამხანაგებ, ნაცნობ-მეგობრებს უდროოდ დაღუპულის სტუდენტი

პეტრე სიმონ'ს ძე თოიძის

ტრაგიკულად გარდაცვალებას; მოკლულ იქმნა 7 იანვარს საღამოს 7 საათზე ქ. თფილისში. (107 1—1)

ხაშურის უბნის კონდუქტორები აუწყებენ ყველა ამხანაგებს და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა უფროსი კონდუქტორი ამხანაგი

ლევანტი იორდანეს ძე სიხარულიძე

დაკრძალვა მოხდება 10 იანვარს (ახ. სტ.) შაბათს 12 საათზე. გამოსვენება თავის საკუთარი ბინიდან.

სექციის გამგეობა. (108 1—1)

ღრმად დამწუხრებულნი შვილები: კონსტანტინე, სევერიანე, ივანე, ვიაჩესლავი, მაშო, ზინობია და მატრონა გაწერელიები, შვილიშვილები: ალექსანდრი, ეკატერინე, კაკო და თამარა. და სიძე სოლომონი ოსიძე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს 10 იანვარს სოფ. მარტვილში ნახარებოვის მონასტერში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ძვირფასი

ესევდია გაწერელიას

სულის მოსახსენებლად. (ნ. 1—1)

პეტრე ნიკოლოზის ძე ციხისთავიშვილი, თინათინ ნიკოლოზის ასული იაგოროვისა შვილებითურთ, ანა ნიკოლოზის ასული [illegible]ისა, სერგეი და ივანე ნიკოლოზის ძენი და მარიამ ნიკოლოზის ასული ყაზახაშვილები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 7 იანვარს ქ. თფილისში მათთვის დაუვიწყარი: პირველის მეუღლე და დანარჩენების და

ელისაბედი (ლიზა) ნიკ. ასული ციხისთავიშვილი

დაკრძალვა დანიშნულია ქ. თელავში კვირას 11 იანვარს, გამოსვენება ღვთისმშობლის ეკლესიიდან. (106—1—1)

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე პეპელა შვილებითურთ, ძმები: კოწია (კონსტანტინე) და მიხეილი, დები: ნინო, კესარია, ძმისშვილები: ვიქტორ, პლატონი, რაფიელი, ოლღა, ზინაიდა და ვეროჩქა ყაჭიეშვილები; დის შვილები: გერმანე, ლისა, კეკელა, პაიჭაძეები და კოლია, ბეგლარ მზეთაიშვილები აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ მათთვის დაუვიწყარ

ლევანტი (ლევან) იორდანეს ძე ყაჭიეშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ხაშურში შაბათს 10 იანვარს 10 საათზე. (110—1—1)

ღრმად დამწუხრებული დედა საშა, ძმები: შალიკო, მიშიკო, პავლუშა და ჟორჟიკა ხუნდაძეები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს მათთვის დაუვიწყარი შვილის და დის, მე-7 ქალთა გიმნაზიის მოწაფის პატარა

თამრიკოს

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება ბინიდან გაბაშვილის შესახვევი № 1 კვირას 11 იანვარს დილის 10 საათზე კალოუბნის ეკლესიაში, სადაც იქნება წირვა და წესის აგება, დაკრძალვა მოხდება კუკიის (წმ. ნინოს) სასაფლაოზე. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე. (112—1—1)

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების

მთავარი სამმართველო

ამით აცხადებს თფილისში მცხოვრებთა საყურადღებოდ, რომ სასანიტარო-სადეზინფექციო მატარებელმა დაიწყო მოქმედება ამ ჟამად თფილისში. მსურველთ შეუძლიათ ისარგებლონ დილის 8 ს. საღამოს 8 საათამდე უფასო აბანოთი და აგრეთვე საცვლების და ტანისამოსის დეზინფექციით: მამაკაცებმა—პარასკევ-შაბათობით. დედაკაცებმა—ოთხშაბათ-ხუთშაბათობით. მატარებელი აბანო დგას დიდუბეში, სადაც თავდება ტრამვაის ლიანდაგი. დაწესებულებათ შეუძლიათ საჭირო ცნობები მიიღონ მთავარ სამმართველოს კანცელარიაში 26 მაისის ქ. № 60. (ოფ. 3—1)

ს. ს. დ. მ. პარტიის ცენტრალური კომიტეტი

გადავიდა ახალ ბინაზე

კრუზენშტერნის ქუჩა (კუთხე რუსთაველის პროსპექტისა), იქ, სადაც გაზ. „ბორბა"-ა მოთავსებული. (ოფ. 3—3)

სახელმწიფო თეატრში

კვირას, 11 იანვარს, გაიმართება საბავშო ჟურნალის „ჯეჯილის" 30 წ. მოღვაწეობის აღსანიშნავად

დილა

I. ივ. გომართელი წაიკითხავს მოხსენებას
II. „მზეხა" საბავშვო პიესა გუნიას გადმოკეთებული 3 მოქმ. პიესაში მონაწილეობს გუნდი, ცეკვა.
III. ბალეტი ქ-ნი პერინისა.
IV. ქართული ცეკვა ბავშვებისაგან.

„დილას" ხელმძღვანელობს ელო ანდრონიკაშვილი

(ნ 2—1) დასაწყისი დილის 12 საათზე.

ექიმი ხარდიონ ამბროსის ძე

ცეხანოვსკი

საპიორნი ქუჩა საკ. სახლი № 28 ევანგულოვის ქუჩის კუთხე სახელმწიფო თეატრის უკან.
ჩამოვიდა ქუთაისიდან და ღებულობს სქესის, შარდის, ვენერიულ და სიფილისიან ავადმყოფებს (606—914)
მიღება: დილის 8—9 ს. მოწაფეებს და ღარიბებს უფასოთ. 10—12 ს. საღამოს 4—5 ს. მარტო ქალებს 5—6 ნახ. ს. (თ.—3423)

ლენინის მიმართვა უკრაინელებისადმი

როგორ მოიქცევიან ბოლშევიკები დენიკინელთა დამარცხების შემდეგ? რა პოზიციას დაიჭერენ ისინი რუსეთის იმპერიის ნიადაგზე დაარსებულ ახალ სახელმწიფოთა მიმართ? ამ საკითხზე, რომელიც დღეს ჩვენის პოლიტიკის დღიურ წესრიგშია დაყენებული, საუკეთესო პასუხს გვაძლევს ის „მოწოდება", რომლითაც საბჭოთა რუსეთის მეთაურმა ლენინმა მიმართა უკრაინის მუშებს და გლეხებს.

„მოწოდების" ავტორის აზრით, მთავარი მიზანი, რომლის შესრულებაც დღეს პირველ რიგში უნდა იდგეს ყველა მუშებისათვის და გლეხებისათვის, დენიკინ-კოლჩაკის კონტრ-რევოლიუციის განადგურებაა: „დენიკინის დამარცხება, მისი განადგურება, ასეთია უმთავრესი ამოცანა როგორც ველიკორუსის, ისე უკრაინის მუშების და გლეხების". მიზანი ნათლად არის დასახული და ყოველ დემოკრატიულად მოაზროვნე პარტიისათვის სრულიად მისაღებია. მაგრამ რა გზას ისახავს ლენინი ამ ყველა დემოკრატიებისათვის საერთო საფრთხის თავიდან აცილების შემდეგ? ამის შესახებ „მოწოდება" მეტათ საგულისხმო და დამაფიქრებელ პასუხს იძლევა. იმ პოლიტიკურ გზას, რომელსაც საბჭოთა რუსეთი დაადგება არა ველიკოროსების მიმართ, „მოწოდების" ავტორის სიტყვით, საფუძვლათ დაედება ის დადგენილება, რომელიც სრულიად რუსეთის საბჭოების ყრილობამ გამოიტანა და რომელიც „მოწოდებაში" ამნაირათ არის გამოხატული:

„ჩვენ გვინდა ერთაშორის ნებაყოფლობითი კავშირი, ისე რომ ძალდატანების ნახახიც არ იყოს".

როგორი ლოღიკური დასკვნა გამომდინარეობს ამ დებულებიდან? მკითხველს ეგონება, რომ საბჭოთა რუსეთი შეურყევლათ დაადგება თვითგამორკვევის ცნობის გზას იმ ერთათვის მაინც, რომლებიც საბჭოთა რუსეთის მიერ დასახულ პოლიტიკურ მიზანს იზიარებენ—დენიკინის კონტრ-რევოლიუციის გასრესა. ეს თვითგამორკვევა, პირველ ყოვლისა, იმაში უნდა გამოიხატებოდეს, რომ ერს უფლება მიეცეს ისეთი წყობილება შემოიღოს, როგორიც მის მდგომარეობას, მის სარგებლობას და მის სურვილებს შეეფერება, რომ მას არ მოეხვიოთ გარედან ისეთი წესები, რომელიც მას თავისთვის შესაფერისად არ მიაჩნია, რომ ერთის სიტყვით, არავინ არ ჩაერიოს ძალდატანებით მის შინაურ საქმეებში.

აღიარებს თუ არა ლენინი ამ ერთად-ერთს ლოღიკურ დასკვნას მის მიერ წამოყენებულ დებულებიდან? მისი „მოწოდების" სხვა ადგილებიდან სჩანს, რომ ზემოთ ამოწერილი დებულება მხოლოდ სიტყვაა, ლენინის საქმე კი ამ დებულების სრული ფეხქვეშ გათელვაა. საქმით იგი ყოველ ერისაგან მოითხოვს, რომ მან მიიღოს ბოლშევიკური პოლიტიკური პლატფორმა და ამ პლატფორმის თანახმად ააშენოს მთელი თავისი ცხოვრება. ლენინის ამნაირი აზრი აშკარაა „მოწოდების" დასკვნიდან.

„შეურიგებელი და დაუთმობელი უნდა იყვნენ ველიკოროსის, უკრაინის და ყოველ ერის კომუნისტები, როდესაც საქმე ეხება პროლეტარულ ბრძოლის, პროლეტარიატის დიქტატურის საკითხებს".

მაშასადამე, შეურიგებელია საბჭოთა რუსეთი იმ ერის მიმართ, რომელიც ნაადრევათ და ამიტომ მავნებლათ სცნობს დღესვე „პროლეტარიატის დიქტატურის" განხორციელებას. ერთა თვით გამორკვევას ლენინი „სცნობს", მაგრამ მას იმისთანა ვიწრო ჩარჩოებში ათავსებს, რომ ის „ერის თვით-გამორკვევა" თავის წინააღმდეგობით—ერის დამონებათ იქცევა. მართლაც და სასაცილოა „თვით გამორკვევაზე" ლაპარაკი იქ, სადაც გეუბნებიან, გინდა თუ არა ისეთი სახელმწიფოებრივი ფორმა შემოიღე, რომელსაც ჩვენ გიბრძანებთ. „საბჭოთა რესპუბლიკა"—აი ის პოლიტიკური ფორმა, რომლის შემოღებასაც მოითხოვს ლენინი ყოველ ერისაგან მხოლოდ ამ პოლიტიკური ფორმის შემოღების შემდეგ იგი წყალობას იღებს და ნებას აძლევს ერს, როგორც გინდათ, ისეთი ურთიერთობა იქონიეთ ჩვენის რესპუბლიკის „საბჭოთა რუსეთის" მიმართო.

მაგრამ თვით ამ ურთიერთობის ფორმა მეტად ვიწრო ჩარჩოებშია ჩაჭედილი. ლენინის „მოწოდებაში" საკითხი ასეა დაყენებული:

„იქნება უკრაინა ცალკე, დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკა, რუსეთის რესპუბლიკასთან ფედერატიულად დაკავშირებული, თუ უკრაინა რუსეთთან შეერთდება ერთ მთლიან საბჭოთა რესპუბლიკათ!" ლენინს აზრადაც არ მოსდის, რომ კიდევ მესამე სურვილიც შეიძლება დაებადოს ერს: არც სრული შეერთება, არც ფედერატიული კავშირი, არამედ სრული დამოუკიდებლობა" ამნაირ სურვილის უფლებას ლენინი, აშკარაა, არ აძლევს უკრაინის ერს. იგი იმასაც კი თითონვე „სწყვეტს", თუ რა გზით უნდა მოხდეს საბჭოთა რუსეთისათვის მისაღებ პოლიტიკურ ფორმის შემოღება: ძირითად პოლიტიკურ წყობილებისა ყველა საკითხები უნდა გადაწყდეს არა მთელი ერის მიერ, არა მის ნებით არჩეულ დამფუძნებელ კრების მიერ, არამედ „სრულიად უკრაინის მუშათა და გლეხთა ყრილობაზე". ასეთია საბჭოთა რუსეთის პროგრამა უკრაინისადმი და თუ საბჭოთა რუსეთი ამ პრინციპს დაუდებს საფუძვლათ თავის პოლიტიკას ყველა ერების მიმართ, ეს იმის მაჩვენებელი იქნება, რომ, მაგ., ჩვენგან იგი მოითხოვს სრულს განადგურებას იმ დემოკრატიულ წყობილებისას, რომელიც ჩვენ ამოდენა ტანჯვა-წვალებით დავამყარეთ, დამფუძნებელ კრების დათხოვნას, ერობათა და ქალაქის თვითმართველობის გაუქმებას, სახალხო გვარდიის მოსპობას, უკვე გატარებულ მიწის რეფორმის გაუქმებას, დამოუკიდებლობაზე ხელის აღებას, საბჭოთა რუსეთის წიაღში შესვლას და კარების გაღებას იმ ანარქიისათვის, რომელიც იქ მძვინვარებს.

მასწავლებელთა ყრილობა

წყნარათ, უხმაუროთ, ურეკლამოთ შეიკრიბა და გაიხსნა სრულიათ საქართველოს მასწავლებელთა ყრილობა. შეიძლება ეს ძლიერ კარგი იყოს, შეიძლება იმ ჩუმ მუშაკთა ბუნებას, რომლებიც ჩვენი ქვეყნის განათლების სფეროში მუშაობენ, კიდევაც შეეფერება ასეთი წესი, მაგრამ ჩვენ გვინდა და ჩვენი სურვილია, რომ როცა ჩვენი ახალთაობის აღმზრდელნი იკრიბებიან—ეს იცოდეს მთელმა ერმა, ეს უდიდესი დღესასწაული იყოს ჩვენი ხალხის და ღირსეულთ ღირსეულათ შეხვდენ და დაუხვდენ. და ეს იქნება არა მხოლოდ პირადი პატივისცემა მასწავლებელთა, არამედ ნიშანი ჩვენი ხალხის კულტურული ზრდა-განვითარებისა, რადგან არ არის სხვა რომელიმე პროფესია, რომელსაც ასეთი დიდი მნიშვნელობა ქონდეს ჩვენი ქვეყნის კულტურული განვითარებისათვის.

მრავალი სერიოზული კითხვები აქვს ყრილობას გასარჩევი და უნდა ვიფიქროთ, ყრილობა მას სათანადოთაც გადასჭრის. მართალია, ჩვენ დემოკრატიულ წყობილებაში სწავლა-აღზრდის საქმეს დიდი ყურადღება აქვს მიქცეული და ჩვენი საკანონმდებლო ორგანო ყოველგვარ საშუალებას ხმარობს მის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლათ, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ყოველივე იდეა პირველ ყოვლისა იბადება, ვითარდება ცხოვრების მსვლელობის პროცესში და მხოლოდ შემდეგ პოულობდა იურიდიულ გამოხატულებას. ამიტომ ჩვენ გვჯერა, რომ მასწავლებელთ კოლექტიური აზროვნება და მუშაობა მტკიცე საფუძველს ჩაუყრის სწავლა-აღზრდის საქმეს ჩვენში, საგრძნობლათ გაუადვილებს მუშაობას ჩვენს საკანონმდებლო ორგანოს და საშუალებას მისცემს მას ფეხდაფეხ გაჰყვეს ცხოვრების მოთხოვნილებას. ეს მოთხოვნილებები კი მეტად დიდი და მეტად მრავალფეროვანია. სკოლის რეფორმა, მისი დემოკრატიულ საფუძველზე აგება—ეს მეტად მძიმე და რთული საქმეა და თუ აქ არ მოეშველა მასწავლებელთა კოლექტიური აზროვნება, ცოდნა და გამოცდილება, ფხა და უნარი—მისი დაძლევა არც თუ ისე ადვილი იქნება.

ჩვენდა სამწუხაროთ სწავლა განათლების წყურვილი ამ ჟამად იმდენათ დიდია ჩვენში, რომ, ვფიქრობ, ისტორიას არ ახსოვს ასეთი რამე. თვით მივარდნილ კუთხეებშიაც კი, ისეთ კუთხეებში, სადაც წინათ არამც თუ გაურბოდენ სკოლას, მტრულადაც კი უყურებდენ—დღეს სკოლა ვერ იტევს მსურველთ და ეს გარემოება კიდევ უფრო ართულებს და აძნელებს მასწავლებელთა მოვალეობას და ჩვენ გვჯერა, ჩვენი მასწავლებლები შეძლებენ ამ წყურვილის, ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.

ჩვენ ვიმყოფებით და განვიცდით ისეთ ხანას, როცა ჩვეულებრივი, ნორმალური დროის შესაფერი შრომა მაცადინეობა და მეთოდი თითქმის შეუფერებელი ხდება. ახლა საჭიროა ჩქარი და სწრაფი ნაბიჯები, რომ ვითარებათა რბენას დავეწიოთ. ჩვენ არ შეგვიძლია ჩავიკეტოთ განსაზღვრულ სფეროში და აქ მუშაობით დავკმაყოფილდეთ. ახლა ყველაფერს უნდა წამოვკრათ ხელი, რომ ფეხზე დავაყენოთ. ჩვენ არ შეგვიძლია დავკმაყოფილდეთ მარტო სკოლით. სკოლა—ეს მომავალი თაობაა. მაგრამ ამ თაობისათვის გზის გაკაფვა დამოკიდებულია დღევანდელ თაობაზე, რომელსაც, სამწუხაროთ, ძალიან ბევრი რამ აკლია, ძალიან სუსტობს გაერკვეს მის ირგვლივ დახლართულ მდგომარეობაში. ამიტომ სკოლის გარეშე განათლება საპატიო ადგილს იჭერს და ზედმეტ ყურადღებას ითხოვს.

ეს გარემოებაც უდიდეს მოვალეობას აკისრებს ჩვენს მასწავლებლებს, და ჩვენ იმედი გვაქვს ყრილობა ყველა ამ კითხვებს ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს. ამ იმედით და ამ რწმენით ვუსურვებთ ყრილობას ნაყოფიერ მუშაობას.

განი.

ჩვეულებრივი ზომა

(პასუხათ „აშხატავორს")

ჩვენს წერილს („ერთობა" № 296) მეტად აუღელვებია „აშხატავორის" პუბლიცისტები. ჩვენ ეს აღელვება ხელოვნური გვგონია. აღელვება შეუძლიან ისეთ ხალხს, რომელიც ფაქიზათ ექცევა, როგორც თავის ერის ბედს, ისე სხვა პატარა ერების მომავალს. ასეთ კატეგორიას არ ეკუთვნის გაზეთ „აშხატავორის" მწერლები: ისინი უფრო ანგარიშის ხალხია, ამას ქვევით დავინახავთ. ჩვენ ვწერდით, რომ საზღვრები უნდა დაიხუროს ისეთ ხალხისთვის, რომელიც ჩვენს რესპუბლიკას აბუჩად იგდებდა და რესპუბლიკის დროშას შეურაცყოფას აყენებდა. იყო თუ არა ასე სამხრეთ რუსეთში დენიკინის ბატონობის დროს? ისინი, ვინც ჩვენი ხალხი დაამშია ბლოკადით, ღირსია პატივისცემის? მოქალაქე „აშხატავორო", გვიჩვენეთ თუნდ ერთი სახელმწიფო დედამიწის ზურგზე: მონარქიული, რესპუბლიკური, კომუნისტური, დაშნაკური, რომელიც გაღებული იყოს თავისი

დღეს

უმაღლეს საბჭოს თათბირი ჰქონდა კომუნიზმის წინააღმდეგ საბრძოლველი ზომების გამოსამუშავებლათ.

გერმანული პრესის აზრით გერმანიამ უნდა უარყოს ევროპის ძველი ეგოისტური მსოფლიო პოლიტიკა და დაიცვას ევროპის სოლიდარობა სხვა კონტინენტთა წინააღმდეგ.

ანტვერპენის სავაჭრო პალატის თავმჯდომარემ მოითხოვა გერმანია ბელგიის სრული და ფართო სავაჭრო კავშირი.

ბოლშევიკების ცნობით დასავლეთის ფრონტზე, დვინსკის მიმართულებით, საბჭოთა ჯარი უკან იხევს. სამხრეთის ფრონტზე საბჭოთა ჯარმა აიღო ტაგანროგი და ნოვოჩერკასკი.

საზღვრების კარები გაუღოს მოწინააღმდეგებს. თქვენ არ გჯერათ ჩვენი განცხადება შესახებ იმისა, რომ სამხრეთ რუსეთიდან დემოკრატია არ გარბის. ნუ თუ თქვენ სერიოზულად ფიქრობთ, რომ მუშები და გლეხები გარბიან, ან დემოკრატიული ინტელიგენცია? ყველა ეს ხალხი ადგილობრივ რჩება და თავისი სამშობლოს ნორმალურ კალაპოტში ჩასაყენებლათ მუშაობს. ეგებ უდროოდ დაღუპული ყუბანის დემოკრატიის ხელმძღვანელი კალაბუხოვი, ან რადის თავმჯდომარე მაკარენკო ყავს სახეში „აშხატავორს"? ჩვენის ცნობით მაკარენკოს მომხრეები არსად გარბის. ისინი ადგილობრივ მოქმედებენ. ჩვენ ვიცით, რომ გარბის სხვათა შორის როსტოვ-ნახიჩევანის ბურჟუაზია. იქ ბლომათ მოიპოვება „აშხატავორის" თანამოაზრეები და ჩვენი რესპუბლიკის შეურაცმყოფელები. „აშხატავორის" ცნობით ისინი „სუსტ ნერვებიანი საცოდავები" ყოფილან. საინტერესოა ვიცოდეთ, როდის ეშალათ მათ ნერვები? ეგებ მაშინ, როდესაც საქართველოს შესახებ ჩალხუშიანის წერილებს კითხულობდენ „პრიაზოვსკი კრაიში" და სხვა რეაქციონურ ფურცლებში? ჩვენ ამაში სრულებით არ ვართ დარწმუნებული. ჩვენ გვგონია, რომ იმათ ნერვების აშლის ერთი მიზეზთაგანი იყო ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობა.

თქვენი სიტყვით გასაგები იქნებოდა, თუ საზღვრის დახურვას სასურსათო კრიზისით დავასაბუთებდით. ჩვენ ეს შეგვეძლო და იოლი საქმეც იყო, მაგრამ უნდა გითხრათ გულახდილათ, რომ ორპირობას ჩვეული არა ვართ და ჩვენს აზრებს პირდაპირ ვლაპარაკობთ. ასეთი ქცევა ეგებ თქვენ სახიფათოდ მიგაჩნიათ? მაგრამ როდესაც კითხვა ეხება რესპუბლიკის არსებით ინტერესებს, ჩვენთვის ხიფათი არ არსებობს. რაც შეეხება დევნილთა დახმარებას, ამას კი ჩვენ ვერ გვასწავლის პატივცემული „აშხატავორი".

ბ. თეკლათელი.

ბოლშევიკური იმპერიალიზმი

მდგომარეობა უკანასკნელ ამბების გამო იცვლება. ამიერ-კავკასიის დემოკრატიის წინაშე ახალი კითხვა იბადება.

საერთაშორისო გართულებულ კრიზისების გამო რუსეთის და კავკასიის ხალხთა გამოურკვეველი პირობები თანდათან უარესდება და ნგრევის პროცესი სხვადასხვა ფორმით გრძელდება.

რა მოგველის, რა იქნება?

რუსეთის განმათავისუფლებელმა მოძრაობამ თავისი ისტორიული კალაპოტი დაჰკარგა ადრიანად და მიიღო ორი უკიდურესი მიმდინარეობა, ორი მიზანშეუწონელი მიმართულება და ბრძოლა სამკვდრო სასიცოცხლო ამ ორი უკიდურესობათა შორის დაუსრულებლივ სწარმოებს სამოქალაქო ომის სახით.

რუსეთის გამწვავებულ მდგომარეობით ჩვენი მდგომარეობაც გამწვავებულია, რუსეთის საშინელ ანარქიით ამიერ-კავკასიის ხალხთა ნორმალური ცხოვრებაც დარღვეულია.

ამიერ-კავკასიის ხალხთა წინაშე ამართული იყო მოხალისეთა რეაქციის საშიშროება, იგი ემუქრებოდა განთავისუფლებულ ამიერ-კავკასიის ხალხთა თვითგამორკვევას, დემოკრატიულ წყობილებას და დღეს რეაქციონურ მოხალისეთა მაგიერ მორიგ „სმენათ" ცხადდება ბოლშევიკური რუსეთი, კომუნისტური იმპერიალიზმი. დენიკინის საშიშროება შეიცვალა „ბოლშევიკური" საფრთხით—ანარქიით.

„ბოლშევიკური" მოძრაობის იზოლაცია ჩვენში დიდიხანია მოხდა. საქართველოს მუშათა კლასმა მიმდინარე მოძრაობაში სწორი ხაზი დაიჭირა და თავისი პოლიტიკური შეგნებით, გამოცდილებით, გარკვეული გზით წავიდა და მიდის წინ ისტორიულ პირობებთან შეთანხმებით სოციალისტურ მოძრაობისკენ, მომზადებისაკენ, რომ შეუერთდეს ახლო მომავალში პროლეტარიატის საერთაშორისო მოძრაობას.

ამიტომ იყო, რომ ჩვენმა მუშათა მოძრაობამ ზურგი შეაქცია რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკას და თავისვე ქვეყნის საზღვრებში დემოკრატიზმის საშუალებით სოციალიზმისათვის დადებითი მუშაობას შეუდგა, ევროპისაკენ გზა დაიკავა.

„ბოლშევიკურ" მოძრაობის დასაწყისს რუსეთში თავისი ხელსაყრელი მომენტი ჰქონდა, იგი წარმოიშვა რუსეთის დაღლილ ძალთა განწყობილებისაგან, მსოფლიო ომში დამარცხებისაგან, ეკონომიურ ანარქიისაგან.

„ბოლშევიკურ" „გამარჯვებას" ახასიათებდა ფსიხოლოგიური მომენტი. დაღლილ ჯარს შინ მიეჩქარებოდა მიწების დასატაცებლათ, ნადავლის წასაღებათ და იგი ამ პარტიას ემხრობოდა. მშიერ ხალხს პური უნდოდა და ვინც თითო პური დაპირდა, მას მიემხრო. ხანგრძლივი ომის გამო ყველა გატაცების, დარბევის სენით იყო შეპყრობილი და „ბოლშევიზმმა" ეს საშინელი მოძრაობა დაადასტურა. ამით თავისი პოლიტიკური ავანტიურა დააჩქარა, რუსეთის სვე-ბედი ხელში ჩაიგდო, რუსეთის ხალხი განსაცდელში ჩააგდო.

ორი წლის ისტორიამ კაცობრიობას სინამდვილე დაანახვა: გარეთ ომი შინაურ ომათ, სისხლის ღვრათ გადაიქცა. პურის მაგიერ შიმშილი და სენი სპობს რუსეთის ხალხს, მრეწველობა მოკვდა, საწარმოვო განვითარება გაქრა, რუსეთის დემოკრატიის შვილები, მოწინავე ძალები გაანადგურეს და დღეს დღესასწაულობს საბჭოთა რუსეთში სიღატაკე, შიმშილი, სიკვდილი...

ეს იცის საერთაშორისო პროლეტარიატმა, და ეს იცის საქართველოს დემოკრატიამ.

ორი წლის განმავლობაში რუსეთში არავითარი წესრიგი არ დამყარდა, ორი წელია რუსეთში ხოცვა ჟლეტაა და ეხლა ჩრდილოეთის სტიქია, სამოქალაქო ომი აღმოსავლეთს უახლოვდება, გამოსავალს ეძებს ჩამორჩენილ ქვეყნებში, აზიაში. კულტურულ ქვეყნებში, ევროპაში „ბოლშევიზმმა" თავისი ბაზარი ვერ იპოვნა. ევროპის პროლეტარიატმა არ გაიზიარა რუსეთის ანტიმარქსისტული მოძრაობა, „მეშჩანური", სოფლური ანარქიზმი.

მიუხედავათ იმისა, რომ ომში დამარცხებული გერმანია საშინელ კატასტროფას განიცდის, კრიზისს და გაჭირვებას, მაქსიმალისტურ მიმდინარეობას არ გაჰყვა, მისმა ორგანიზაციამ, მუშათა კლასის შორსმჭვრეტელობამ სძლია სპარტაკულ მოძრაობას და სტიქია დაამარცხა.

საფრანგეთის მუშათა გაფიცვები აშკარათ ამტკიცებენ, რომ საფრანგეთის მუშები სოციალურ ლოღიკას, ცხოვრების პირობებს ემორჩილებიან და ამიტომ გაფიცვებს სწყვეტენ, მავნებლათ სთვლიან

ამგვარათ „ბოლშევიკთა" პირვანდელ ლტოლვილებას, რომ რუსული „ბოლშევიზმი" ევროპას დაატყვევებდა, არ გამართლდა და ეხლა აზიისაკენ შეიჭრა, ამიერ-კავკასიას უახლოვდება.

ეს ასეც უნდა მომხდარიყო. ანარქიას, არეულობას, სამოქალაქო ომს, რომელთაც ახასიათებს ბარბაროსული ტრადიციები შეგნებულ ქვეყნებში ადგილი არ აქვს, ეგ უარყოფილია მუშათა კლასის ისტორიული ტრადიციებით და ამიტომაც განწირულია სოციალისტურ ევროპისაგან.

ევროპისაგან განდევნილი რუსული „მუჟიკური" „ბოლშევიზმი" აღმოსავლეთის ხალხებში მიდის, იქ ეძებს ბინას დღ უკანასკნელი ეპოქა „ბოლშევიზმისა" ხასიათდება ამ საბედისწერო მომენტით.

მსოფლიო ომის მიერ გამოწვეულ ინტრიგებით, ნაციონალურ ტკივილების გაძლიერებით „ბოლშევიზმს" უნდა ისარგებლოს და ლამობს ევროპას აზია დაუპირდაპიროს, კულტურას—ბარბაროსობა. სოციალისტურ მოძრაობას—ანარქია.

დღეს ვინც მიმდინარე ამბებს აკვირდება, მისთვის აშკარაა, რომ იწყება აღნიშნული მოძრაობა და ამავე დროს საბჭოთა რესპუბლიკა თავის ნიღაბს იხდის და თავისი იმპერიალისტურ სახიანობით ამზადებს საერთაშორისო რეაქციას.

ვინც დღეს აკვირდება საბჭოთა რუსეთის მოძრაობას, მისთვის აშკარაა, რომ რუსეთის „ბოლშევიკური არმია", სადაც თავი მოუყრიათ ძველი რუსეთის ცნობილ გენერლებს სრულიად გამოცვლილია მისწრაფებებით, სამხედრო პლანით, პოლიტიკით და ეგ სამხედრო მოძრაობა „ბოლშევიკური" გამოხატავს ძველი რუსეთის ტრადიციას, მის იმპერიალიზმს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მაშინ სლავიანური იმპერიალიზმი ბრძოლას უცხადებდა მახლობელ და შორეულ აღმოსავლეთის ხალხებს, მხოლოდ დღეს „ბოლშევიკური" იმპერიალიზმი კავშირს კრავს იმავე ხალხებთან.

ეგ დასაწყისი მსოფლიო რეაქციისა და აქ გვჭირია დაფიქრება, სიფრთხილე, ორგანიზებული მოქმედება.

„ბოლშევიკურმა" არმიამ სრულიად გამოსცვალა საბჭოთა რუსეთი. „ბოლშევიკურმა" მხედრობამ თუ თავისი პლანები დაამთავრა, ცხადია, ეგ იქნება საბჭოთა რესპუბლიკის დასასრული.

ჩვენს დემოკრატიულ მოძრაობას საფრთხე ელოდა დენიკინისაგან. საფრთხე ელის „ბოლშევიკურ" იმპერიალიზმისაგან. ორივე ეგ მოძრაობა უარყოფს დემოკრატიას.

პირველი გამომდინარეობდა რეაქციიდან, მიილტვოდა მონარქიზმისაკენ. მეორე ჩაისახა ანარქიაში და მიდის აზიისაკენ. ორივე მოძრაობა იწყება სხვადასხვა სათავეებიდან და მიდიან ერთისაკენ — რეაქციისაკენ. ეგ მოძრაობა სოციალისტურ მოძრაობიდან უარყოფილია, განდევნილია ევროპიდან. საქართველოს მუშათა კლასმა დიდი ხანია ზურგი შეაქცია და დღეს გარედან მას ისევ ემუქრება ანარქიზმში გახვეული რეაქცია, რომელიც ჩანთქმას უქადის თავისუფალ ქვეყნის არსებობას, მუშათა კლასის მოძრაობას...

ჩვენმა მუშათა კლასმა კარგათ იცის, რომ დანგრეული ქვეყნის სტიქიურ მოძრაობას არ შეუძლია დაამარცხოს ორგანიზაციულათ გაწვრთნილი შეერთებული ძალა, და თუ ამ ძალის წინააღმდეგ გამოიწვევს რუსული იმპერიალიზმი კომუნიზმის სახით, უნდა იცოდეს შესაფერ პასუხს მიიღებს, დამარცხდება...

ჩვენი ხალხი ამიტომ ემზადება და თავისუფლებას არავის არ გადასცემს. საერთაშორისო პროლეტარიატის ტრადიციას არ უღალატებს, ევროპის მუშათა კლასს ზურგს არ შეაქცევს.

ანანია.

დეპეშები

საქართველოს დეპეშათა სააგენტო

9 იანვარი.

ბოლშევიკური ცნობები.

მოსკოვი. იანვრის 6. სამხედრო ცნობები. დასავლეთის ფრონტზე, დვინსკის მიმართულებით მტრის იერიშების გამო ჩვენი ჯარი უკან იხევს. მოზირის სამხრეთ დასავლეთით 25 ვერსზე სასტიკი ბრძოლა დაიწყო. ომი სწარმოებს აგრეთვე ოვრუჩის ჩრდილო-დასავლეთით. ჩვენი ჯარი ფიცხელ ომს აწარმოებს კოროსტენის დასავლეთით 40 ვერსის მანძილზე. ავიღეთ ქალაქები: ლიტინი, ვინნიცა და ლიპოვეცი.

სამხრეთის ფრონტზე ჯარმა აიღო სადგური ზნამენკა 35 ვერ. ჩრდილო-დასავლეთით ქ. ელისავეტგრადიდან. ხერსონის მიმართულებით ჩვენ ავიღეთ სადგურები: პიატიხატკა და ვერხოვცევო. ავიღეთ აგრეთვე ქ. ალექსანდროვსკი. ბერდიანსკის მიმართულებით ჩვენი ჯარი განაგრძობს წინსვლას. ავიღეთ ქ. მარიუპოლი. მტრის ერთმა ნაწილმა თავს უშველა გემების საშუალებით, ხოლო მეორე ნაწილი გაიქცა ზღვის ნაპირებით. ნოვოჩერკასკის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა გასტეხა მტრის წინააღმდეგობა და სადგურ ზაპოვედნოიდან სამხრეთით წაიწია. მდინარე ჩირის რაიონში ავიღეთ სტანიცა ნიჟნეჩირსკაია. ცარიცინის რაიონში სასტიკი ომის შემდეგ ჩვენმა ჯარმა აიღო კოლონია სარეპტა ჩვენმა ჯარმა აიღო აგრეთვე ქ. გურიევი. აკმოლინსკის აღების დროს მტერს წავართვით 10 ზარბაზანი, ავტომობილები და სხვა სამხედრო საქონელი. ქ. კალნიკოვიდან 70 ვერსზე აღმოსავლეთით ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა დაამარცხა მტრის რაზმი და გაქცეულს სდევნის. იანვრის 4-ს ავიღეთ სადგური კანჩუგა. 95 ვერსზე კრასნოიარსკის დასავლეთით, წამოვიყვანეთ ტყვეები და წამოვიღეთ დიდძალი ქონება.

მოსკოვი. 6 იანვარი. ტროცკიმ მოწოდებით მიმართა ყაზახებს. იქ ნათქვამია: „და დადგა დრო, როცა ყაზახებმა უნდა გამოარკვიონ თავისი მომავალი. დღევანდლამდე მათ მაგიერ სხვები ფიქრობდენ და თავის გადაწყვეტილებას ყაზახთა მასებს თავს ახვევდენ ასასრულებლათ. ასე იქცეოდენ კორნილოვი, კალედინი, კრასნოვი, დუტოვი, კოლჩაკი და დენიკინი. დღეს ყველა ეს რეაქციონური მხედართ მთავარი ძლეულია. კოლჩაკის ჯარიდან არაფერი არ დარჩენილა, ხოლო დენიკინის ლაშქრიდან დარჩა მხოლოდ საცოდავი ნაწილი. დაჰკრა ყაზახებისათვის უკანასკნელმა, მეთორმეტე საათმა: მოიფიქრონ საფუძვლიანათ და გადასწყვეტონ მტკიცეთ, თუ რომელი გზით სურთ მათ მომავალში სიარული.

საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლა მათ დაღუპვას უქადის. ხსნა მასთან შეთანხმებაშია. ამ მიზნით გადაწყვეტილია მოწვევა სრულიად რუსეთის ყაზახთა ყრილობისა. საბჭოთა რუსეთი იწვევს და ეუბნება ყაზახებს: დავივიწყებ რაც ჩაიდინეთ წარსულში, მაგრამ თუ დღეს შეგნებულათ გამოუწვდით ხელს მუშებსა და გლეხობას, კეთილიც იყოს თქვენი მობრძანება. ყველგან, სადაც ყაზახობა მოსახლეობს უნდა მოეწყოს არჩევნები სრულიად რუსეთის ყაზახთა ყრილობაზე დელეგატების ასარჩევათ".

მოსკოვი. იანვ. 7. სამხედრო ცნობები. დვინსკის მიმართულებით სწარმოებს სასტიკი ბრძოლა, რომელსაც ჯერ ჯერობით ცვალებადი ხასიათი აქვს. პოლოცკის სამხრეთით მტერმა სცადა დასავლეთ დვინაზე გადმოსვლა, მაგრამ უკუგდებულ იქნა. ბერდიჩევის რკინის გზის დასწვრივ ჩვენი ჯარი უახლოვდება შეპეტოვკას. ალექსანდრიის მიმართულებით ავიღეთ ქ. ალექსანდრია. ბერდიანსკის მიმართულებით ჩვენი ჯარი წინსვლას განაგრძობს. მარიუპოლის რაიონში ჩვენი ჯარი სწმენდს მტრისაგან ზღვის ნაპირებს. საწრაფო ცნობის მიხედვით 6 იანვ. ნაშუადღევის პირველ საათზე ბუდენნოვის რაზმმა აიღო ქალ. ტაგანროგი. ხელთ ვიგდეთ დიდძალი სამხედრო ქონება.

ხარკოვი. იან. 6. მე-14 არმიის შტაბის ცნობით გენერალი დენიკინი გადაყენებულია თანამდებობიდან. მის ადგილას დაინიშნა გენერალი რომანოვსკი. მთელი ძალა-უფლება „აღორძინების კავშირის" ხელში გადავიდა.

რიბინსკი. იან. 2. რათა ხელი შეუწყონ მუშათა შორის დისციპლინის აღდგენას და ინტენსიურ მუშაობის გაძლიერებას ქარხნებსა და ფაბრიკებში შემოიღეს ამხანაგური სასამართლოები.

მოსკოვი. იან. 8. **ომის ამბები.** პსკოვისა და კორელის რაიონებში ცვლილება არ მომხდარა. იაკობშტადტის მიმართულებით ჩვენი ჯარი შეტევაზე გადავიდა და ლუბანსკის ტბის სამხრეთით სოფლები აიღო. დვინსკის მიმართულებით დაბა კრეიცის რაიონში დვინსკის შარა გზის ნაწილზე ჩვენი ჯარი წარმატებით წინ მიიწევს. მოზირის და კოროსტენის რაიონში ბრძოლას ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს. ჩერკასის რაიონში ჩვენმა ჯარმა აიღო სად. ცვეტკოვი და დაბა ტელეპინი. ალექსანდროვსკის რაიონში ჩვენმა ცხენოსანმა ნოვოგრიგორიევსკთან ჩეჩენების რაზმი დაამარცხა, წამოიყვანა ტყვეები და დიდძალი სამხედრო მასალა. ბერდიანსკის მიმართულებით ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა ქ. ბერდიანსკი აიღო. ტაგანროგის რაიონში ჩვენი ცხენოსანი ჯარი როსტოვ-ტაგანროგის რკინის გზის მიმართულებით შეტევას განაგრძობს. ჩვენი ჯავშნიანი მატარებელი სად. სინიავსკს უჩენს. როსტოვის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა აიღო რიგი სოფლებისა 55 ვერ. როსტოვის ჩრდილოეთით და კვლავ წინსვლას განაგრძობს. ნოვოჩერკასკის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა ბრძოლით აიღო ალექსანდროვსკ გრუშევსკის რაიონი. მოწინააღმდეგე ნოვოჩერკასკისაკენ განვდევნეთ.

მოსკოვი, იანვრის 8. სასტიკისა და სისხლისმღვრელ ომის შემდეგ 7 იანვრის საღამოს 11 საათზე ჩვენმა ჯარმა აიღო ქ. ნოვოჩერკასკი.

ხარკოვი, იანვ. 6. მე-15 არმიის შტაბიდან მიღებული ცნობების თანახმად მთავარ სარდალი სამხრეთის კონტრ რევოლიუციონური არმიის გენერალი დენიკინი გადაყენებულ იქნა სამსახურიდან და მის ადგილას დაინიშნა გენერალი რომანოვსკი. დენიკინის არმიასთან არსებულ „ოსობოე სოვეშჩანიე" დათხოვნილ იქნა და მთელი ძალა-უფლება გადაეცა „აღორძინების კავშირს."

საზღვარგარეთ პრესის ცნობები

„დოიტშე ალგემაინე ცაიტუნგი" არკვევს რა გერმანიის დიპლომატიის ახალ გზებს, სწერს, რომ გერმანიამ ახალი კავშირი უნდა ეძიოს საზღვარ გარეთ და უნდა უარყოს ევროპის ძველი ეგოისტური მსოფლიო პოლიტიკა და დაიცვას ევროპის სოლიდარობა სხვა კონტინენტთა წინააღმდეგ.

ანტვერპენის სავაჭრო პალატის თავმჯდომარემ კასტელეინმა, როდესაც გერმანიასთან ეკონომიური კავშირის დაჭერას შეეხო, განაცხადა: „ჩვენ, ბელგიელები გერმანია ბელგიის სრული და ფართო სავაჭრო თავისუფლებას მოვითხოვთ. ეს არის ჩვენი უფლება და მოვალეობა, თუ ჩვენ თავს ვუწოდებთ ერს, რომელსაც თავისი თავის დამარხვა არა სწადიაო".

პარიზიდან მოსულ ცნობებით უმაღლესმა საბჭომ განიხილა ის, თუ რამდენათ გავრცელდა ბოლშევიკური მოძრაობა ბალკანეთზე, აზიაში და მოკავშირეთა კოლონიებში. კომუნიზმთან საბრძოლველ საშუალებათა შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ არის გამოტანილი, მაგრამ ინგლისმა აცნობა მოკავშირეებს, რომ ინგლისის მთავრობამ ყველა სამეფო კოლონიებში გაგზავნა დამხმარე ძალა, რადგანაც იქ ბოლშევიკური აგიტაცია დღითი დღე იზრდება.

ბელგიის მთავრობა შეუთანხმდა ბანკირებს 2 ნახ. მილიარდ ფრანკის სესხის აღების ტიპზე. ეს სესხი, რომელიც გამოშვებული იქნება 75 წლით, წააგავს საფრანგეთის მიერ აღებულ სესხს. იგი იქნება 5 პროც.—50 პროც. პრემიით.

დანციგის პორტში მივიდა პირველი პოლონეთის გემი, რომლის წყალ-წყვა 7000 ტონაა; იგი დატვირთულია, რკინის გზის მასალით, სანოვაგითა და ნახშირით.

უმაღლესმა საბჭომ მიიღო ფორმულა ტონაჟის საკითხში შეთანხმების შესახებ: გერმანია დაუყოვნებლივ გადასცემს მოკავშირეებს 200,000 ტონა სანავთსადგურო მასალას იმ 400,000 ტონიდან, რომელიც მოთხოვილი იყო. საზღვაო მასალის რაოდენობის მინიმუმი იქნება 275-დან 300 ათასამდის. რადგანაც რატიფიკაციათა გაცვლა გამოცვლისათვის სხვა დაბრკოლება არ არსებობს, ამიტომ ეს ცერემონია მოხდება უახლოეს შაბათს დილით.

ახალი ამბები

აკაკი ჩხენკელის ჩამოსვლა. შაბათს, 6 იანვარს თფილისში ჩამოვიდა აკაკი ჩხენკელი.

◆ **საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის** განყოფილების საკრებულოს სხდომაზე 19 იანვარს დანიშნულ საქმეთა განხილვა გადატანილია 20 იანვრისთვის.

◆ **კვირას 11 იანვარს**, დილის 11 საათზე, დანიშნულია ქალაქის საბჭოს ს.-დ. ფრაქციის სხდომა. სთხოვენ ყველა ამხანაგებს აუცილებლად გამოცხადდენ.

◆ **სახელმწიფო უნივერსიტეტის** სტუდენტთა კავშირის გამგეობა იანვრის 26 სტუდენტთა დღის აღსანიშნავად აწყობს მთელ საქართველოში საღამოებს. გამოიცემა აგრეთვე ჟურნალი „ქართველი სტუდენტი", სადაც მოთავსებული იქნება წერილები, მოგონებანი და სხვა მასალები სტუდენტთა ცხოვრებიდან. ჟურნალის სარედაქციო კოლეგია სთხოვს ამხანაგებს მოაწოდონ მასალები რაც შეიძლება ჩქარებით. მასალები მიიღება მხოლოდ იანვრის 15-დე, შემდეგი მისამართით: სახელმწიფო უნივერსიტეტი—ჟურ. „ქართველ სტუდენტისათვის", ან სტუდენტთა სასადილოში.

◆ **მუშათა კლუბი.** შაბათს, 10 იანვარს, პროფესიონალურ კავშირის პროლეტარი ნემსის სასარგებლოთ მუშათა ცენტრალურ კლუბში გაიმართება წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება ს. ქანტურიშვილის „მორევში", დრამა 3 მოქმედებათ. მესხის 1 მოქ. ვოდევილი „ოთხი იმერელი".

◆ **შობის ხე ბავშვთათვის.** დღეს, ნაშუადღევის 3 ს. ვერის მუშათა კლუბში, გამრთობ საზ. გამგეობის მიერ მოწყობილ იქნება შობის ხე ღარიბ ბავშვთათვის. შესვლა ბავშვთათვის უფასოა, მოზრდილთათვის—ფასით.

◆ **სახალხო სახლი.** დღეს სალ. ქარ. წარ. მმართველი წრის მიერ წარმოდგენილი იქნება „ყაჩაღები" ადგილების ფასი სახალხოა. დასაწყისი საღამოს 8 ს.

◆ **არშაკ ზურაბოვის გვამის დაკრძალვა.** გუშინ ერევნიდან თფილისში ჩამოასვენეს და ხოჯევანქის სასაფლაოზე დაკრძალეს არშაკ ზურაბოვის ცხედარი.

◆ **ქალაქთა კავშირმა და თფ. თვითმართველობამ** რესპუბლიკის ცეცხლის მქრობელთა ნაწილების უფროსათ და თფ. ცეცხლის მქრობელთა რაზმის ბრანდ მაიორათ მოიწვია ალექსანდრე ოტიას ძე ბერიძე, რომელიც ცნობილია, როგორც ამ დარგში მოღვაწე პეტროგრადში. უკანასკნელ ხანამდე ორლოვის გუბ. ყველა ცეცხლის მქრობელი ნაწილების უფროსათ იყო. ბერიძე გუშინ უკვე შეუდგა თანამდებობის ასრულებას.

◆ **საფუთო გადასახადის გამო.** შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობები მოსდის, რომ ერობები მაზრიდან გაზიდულ ფუთ მატყლზე 10—15 მ. ახდევინებენ. ამის გამო შინაგან საქმეთა სამინისტრომ ცირკულიარული მოწერილობა გაუგზავნა სამაზრო ერობის ყველა გამგეობებს, რომ ვინაიდან საფუთო გადასახადი დაწესებული უნდა იქნეს რესპუბლიკის მთავრობის ნებართვით და ამგვარი ნებართვა ჯერ ერობებს არ მიუღიათ, ამიტომ მატყლზე შემოღებული გადასახადი უკანონოაო. ამასთანავე ერთად სამინისტრო წინადადებას აძლევს მათ, თუ კი მაზრაში არის დაწესებული ნაჩვენები გადასახადი, დაუყონებლივ გააუქმონ.

◆ **სახელმწიფო თეატრში.** დღეს მუშებისათვის ვიქ. დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტე". კვირას, დილით „ჯეჯილის" 35 წლის იუბილეის აღსანიშნავათ საბავშვო წარმოდგენა. საღამოთი, დირექტორ კორშონის ბენეფისი „დუბროვსკი". ორშაბათს „ქეთო და კოტე".

◆ **„ეშმაკის მათრახის"** მორიგი ნომერი გამოვა კვირას, 11 იანვარს.

◆ **შინაგან საქმეთა სამინისტროს** აცნობებს, რომ შორაპნის სამაზრო ერობას განკარგულება გაუცია, რათა მიწის მზომელთ შეეჩერებიათ სოფელ რუფოთის აგარაკის გადამიჯვნა. ამის გამო სამინისტრომ აცნობა შორაპნის ერობის გამგეობას, რომ ადმინისტრაციას უფლება არა აქვს შეაჩეროს სასამართლოს დადგენილებაო.

◆ **მთავრობაში.** 25 დეკ. სხდომაზე მთავრობამ დაადგინა: აფხაზეთის სახალხო საბჭოს მიეცეს სესხად 6 მილ. მანეთი. ეს თანხა მიეცეს მას ნაწილ ნაწილად შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით 6 თვის განმავლობაში. ვალის გადახდა დაიწყოს 1922 წლის 1 იანვრიდან ყოველ 1 იანვარს და 1 ივლისს 500000 მანეთობით. შინაგან საქმეთა მინისტრს დაევალოს შეიტანოს დამფ. კრებაში სათანადო დეკრეტი.

კრებანი

შაბათს, 10 იანვარს, ნაშუადღევის 4 ს., დანიშნულია არაჩვეულებრივი კრება საქ. სოც. დემოკ. მუშათა პარტიის მე7-ე რაიონულ კოლექტივისა.

პროვინციის ქრონიკა

გურჯაანი. 11 იანვარს, დილის 12 ს. გურჯაანის კოლექტივი იწვევს პარტიის წევრთა კრებას. კრება შესდგება კოლექტივის ბინაზე. გადასაწყვეტია საყურადღებო კითხვები. წევრებმა თან უნდა იქონიონ საწევრო წიგნაკები.

ბავშვთა სახლის გახსნა.

დედათა და ბავშვთა დაცვის საზოგადოება 15 იანვარს, ყოფილ საბელინო სკოლის შენობაში, გახსნის „ბავშვთა სახლს". დილაობით „ბავშვთა სახლში" იქნება საბავშვო ბაღი 100 სულისათვის 4—7 წ. ბავშვებისათვის. დილაობით ბავშვები მიიღებენ საუზმეს და სადილს. ღარიბ მშობელთა 50 ბავშვს საუზმე და სადილი უფასოთ მიეცემა, დანარჩენი ფასით. საბავშვო ბაღს ხელმძღვანელობას გაუწევენ გამოცდილი სპეციალისტები (ფრებელიჩკები) საღამოობით, „საბავშვო სახლში" იქნება გახსნილი ბავშვთა კლუბი 7—14 წლიანებისთვის. კლუბთან იქნება სამკითხველო, სამეცადინო ოთახი (გაკვეთილების მომზადება), სადურგლო, ფეხსაცმელების შესაკერი სახელოსნო, სამხატვრო, გიმნასტიკა და სხვა. ჩაწერა შეიძლება 1-ლ რაიონის მუშათა კლუბში 5 ნახ საათ. 7 ნახ. ს. არღუტინსკი-დოლგორუკოვთან, ველიკოკნიაჟესკაია ქუჩა 109, სად. 6—9 საათამდე თფილისის მეთამბაქოეთა საზოგადოება ყოველთვიურათ სწირავს ბავშვთა სახლს 11,000 მან., რომელიც განაწილებულია ფაბრიკანტებს შორის ასე: ენფიაჯიანცი 2,000 მ., სილიბანოვი 2 ათასი მ., ბოზარჯიანცი 2 ათასი მ., საფაროვი 2 ათასი მ., კომეტა 2 ათასი, „სოლონი" 1 ათასი მ.

სახალხო უნივერსიტეტი

მოწოდება

სახალხო უნივერსიტეტის გამგეობა და ქართულ განყოფილებათა ლექტორთა საბჭო მხურვალე მოწოდებით მიმართავს ყველა მომზადებულსა და შეგნებულ მოქალაქეთ, რომელნიც ჩვენი დემოკრატიის გათვითცნობიერებაში საქმითაა დაინტერესებული, ჩაეწეროს ლექტორთა სიაში, დაუთმოს მისი დროიდან, შესაფერის ჯილდოთი ანაზღაურებულ, კვირაში ერთი საათი მაინც ლექციის სახით მეცნიერების რომელიმე დარგიდან, განაცხადოს ამის სურვილი ლექტორთა საბჭოს თავმჯდომარესთან (სასახლე ტელ. 3—87, სერ. ჟორჟოლიანთან) და კვირას, დილის 11 ს. გამოცხადდეს სახალხო უნივერსიტეტის ცენტრალურ განყოფილებაში (პლეხანოვის პრ., სახლი № 123) ლექტორთა შეერთებულ სხდომაზე.

უცხოეთი

იაპონია

იაპონია და ციმბირი. „მატენში" მოთავსებულია წერილი, რომელიც შეეხება იაპონიის როლს ციმბირში. გაზეთი სხვათა შორის სწერს: შეერთებულ შტატებს ხელთ უპყრიათ დიდი ოკეანის ერთი ნაპირი, მეორე ნაპირი კი იაპონიის ხელშია. იაპონიის დიპლომატებმა დიდი გამჭრიახობა გამოიჩინეს, მათ მიაღწიეს თავიანთ მიზანს—იაპონია ერთათ ერთი ბატონ პატრონია ციმბირის, იაპონია დიდ როლს თამაშობს ევროპის პოლიტიკაში, რადგანაც ციმბირი, როგორც სტრატეგიული პუნქტი, დიდ მნიშვნელოვანი არის. ამასთანავე იაპონიამ ციმბირის ხელში ჩაგდებით თავის ქვეყანა უზრუნველჰყო პურით, ლითონით. მის ხელში არის 2 მილ. კვადრატული კილომეტრი ნოყიერი მიწა ამერიკამ და ევროპამ გადაიტანეს თავიანთ თავზედ მთელი სიმძიმე ომისა, სარგებლობა კი იაპონიას ხვდა წილად. ძლიერდება ის იმპერია, რომელიც ჩვენთვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს. იაპონიას სურს ანგარიში წარუდგინოს ევროპას, რუსეთს და ამერიკას და შესაძლებელია მთლად ხელში ჩაიგდოს მან დიდი ოკეანე.

იტალია

სოციალისტები დეპუტატთა პალატაში. რომის გაზეთების ცნობით იტალიის პარლამენტის სოციალისტურმა ჯგუფმა გადასწყვიტა მიიღოს ყოველი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

არავინ არი...

ახლა მარტო ვარ და ჩემს მახლობლად
არავინ არის ყრუ ღარდის გარდა.
მე სამარეშიც ვიქნები ობლად
და მეყვარება ვინც აქ მიყვარდა.

ღამეა. ცივა. ქარი ნავარდობს
ლამობს გაძილოს თითხის კარი.
ო, ცივა, ცივა და სული ღარდობს.
არავინ არი, არავინ არი...

მიდის დღეები. მე დავიტვირთე
უბედურებით ასე სასტიკით;
სად არის ღმერთი, სად არის ქრისტე
რომელ მხარეში, რომელ ცას იქით!

გაცივდა გული. გაცრუვდა რწმენა
მოკვდა ხალისი და მეგობარი.
მზე ჩაესვენა, მზე ჩაესვენა.
არავინ არი, არავინ არი...

ხარიტონ ვარდოშვილი.

დეკემბერი.

ვე ზომები, რომ პარლამენტი გადააქციონ დამფუძნებელ კრებათ. ამ წინადადებას მიემხრობიან დეპუტატი რეფორმისტები და რესპუბლიკანელები. მეორე მხრივ სხვა ფრაქციების დეპუტატები შეერთდნენ, რომ წინ აღუდგნენ სოციალისტების წინადადებას.

ოსმალეთი.

ახალგაზრდა თურქები და ბოლშევიკები. „ლა პრეს და პარი"-ში მოთავსებულია ცნობა, რომ მუსტაფა ქემალ ფაშამ წინადადებით მიმართა ლენინს, რათა საბჭოთა რუსეთმა კავშირი დაიჭიროს ოსმალეთის ნაციონალისტებთან. მუსტაფა ქემალ ფაშას ამით სურს თავისი მდგომარეობა გაამაგროს.

ამერიკა.

ამერიკელების სიმდიდრე. გაზეთ „სერ-ცეში" მოთავსებულია ამერიკის შემნახველი ბანკების ანგარიშები. თანახმად ამ ცნობებისა შეერთებულ შტატებში 27 მილიონ სულს ჰქონია ბანკებში შენახული ფული, რომელიც უდრის 10 ნახევარი მილიარდი დოლარს. სარგებელი ეძლევათ პატრონთ დაახლოვებით 400 მილ. დოლარი, ესე იგი სულზე 14,67 დოლარი.

ადერბეიჯანი.

პურის გაძვირება. 30 დეკემბერს შესდგა მრავალ-რიცხოვანი კრება სამრეწველო რაიონის მუსულმან მუშების, სადაც გაირჩა ბაქოში პურის ნაკლებობის საკითხი. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრებამ დაადგინა გაგზავნონ პრემიერ მინისტრთან დელეგაცია, რომელმაც უნდა სთხოვოს მინისტრს, რომ მთავრობამ მიიღოს ყოველივე ზომები და ააცდინონ მუშები სიმშილს.

კურსები აგიტატორებისთვის. „მუსავატის" ცენტრალურ და ბაქოს კომიტეტებს განზრახვა აქვთ ახლო მომავალში გახსნან კურსები აგიტატორების მოსამზადებლათ.

დაღესტანი

თემირ-ხან-შურაში მოხალისეებმა ძლიერ გაამაგრეს ქალაქი. გარშემო სანგრები არის გაკეთებული. ქალაქს ალყა აქვს შემორტყმული დაღესტნელების მიერ. უკანასკნელ დღეებში მოხალისეებს მოუკლეს და დაუჭრეს ათას კაცამდე, დაღესტნელებს ხუთასამდე.

საფრანგეთი.

ბათუმის გარშემო საფრანგეთის ოფიციალურ გაზეთ „ტანის" 6 დეკემბრის ნომერში ბათუმის შესახებ შემდეგი სწერია: მდებარეობა ბათუმისა შავ ზღვაზე ისეთია, რომ იგი ითვლება არამც თუ ამიერ-კავკასიის, არამედ იგი ყურეა ცენტრალურ აზიის და სპარსეთის. საქართველოსთვის ხომ ბათუმი სახლის კარია. ერთ წელზე მეტია, რაც ბათუმის ნავთსადგური მოკავშირეების სახელით უჭირავთ ინგლისელებს, რომელთაც აქ შესცვალეს ოსმალები. უკანასკნელთ მცირე აზიაში სირიის ფრონტის დარღვევამ შეაძლება მისცა დროებით შესულიყვნენ ბათუმში, თუმცა მათ წინააღმდეგობა გაუწიეს სახელდახელოთ შედგენილმა ქართველმა ჯარებმა. ბათუმი ერთად ერთი ადგილია ამიერ-კავკასიაში, სადაც ინგლისელები დარჩნენ. კურიოზული მდგომარეობით, რომ აქ ცხოვრება გაცილებით ძვირია, ვიდრე თფილისში, მიუხედავათ ბათუმის საზღვაო ვაჭრობისა, რომელიც საქონლის ძრიელ დიდ საწყობათ გადაიქცა სპეკულიანტების მიერ. ფიქრობენ, რომ ინგლისის ოკუპაცია გაგრძელდება იმ დრომდე, ვიდრე ბედი ამ ტერიტორიის არ გადაწყდება საბოლოოდ. მაგრამ ამასთანავე ერთად იბადება კითხვა,—გადაეცემა თუ არა ბათუმის ოლქი საქართველოს მთავრობას, რაც საჭიროა მოხდეს თანახმად წესებისა. ასეთია ყოველ შემთხვევაში, სურვილი ამ ოლქის მცხოვრებლებისა, რომელთა უმრავლესობაც ქართველები შესდგებიან და რომელთა სურვილიც გამოითქვა ამას წინად მომხდარ ყრილობაზე. ნაძირალებმა, რომელთაც აინტერესებთ მხოლოდ მოგება და შემთხვევები, წაახდინეს ეს ლამაზი ქალაქი, რომელიც ოდესღაც იყო მშვიდობიანი კუთხე და ამაყი თავის „ზღვის მოედნით". ბათუმი გადიქცა თავშესაფრათ ზღვის მეკობრეების, „ინდუსტრიის რაინდებისათვის", რომელთაც შავი ზღვის ტალღები მოაქანებენ ყოველ მხრიდან. ხელოვნურათ შექმნილი ადმინისტრატიული და საბაჟო ზღუდეები, ყოფენ ამ ნავთსადგურს საქართველოსგან, რომელიც არის მისი ბუნებრივი ჰინტერლანდი და რომელი მდგომარეობაც არაფრით არ მართლდება, თუმცა იგი გრძელდება ერთ წელიწადზე მეტია".

ამხ. პეტრე ალ. მღებროვის ხსოვნას

(გორის სათემო სახალხო გვარდიის შტაბის წევრი)

5 იანვარს, დილის 1 ს. და 40 წ., ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ ფილტვების ანთებით გარდაიცვალა ამხ. პეტრე.

გორის მაზრის სახალხო გვარდიამ დაჰკარგა თავისი საუკეთესო წევრი, უანგარო მოღვაწე, რევოლუციის ერთგული დარაჯი და დემოკრატიის ინტერესების თავდადებული დამცველი.

ამხ. პეტრე ჯერ კიდევ ენერგიით სავსე, სახალხო გვარდიის ინტერესების დაუღალავი დამცველი იყო. ყოველთვის პირში მთქმელი და პირდაპირი.

დავკარგეთ ძვირფასი ადამიანი, ის აღარა გვყავს!

რწმენით პეტრე ესერი იყო, მაგრამ სახ. გვარდიაში მუშაობა მას პარტიულ ვიწრო ფარგლებს ატოვებინებს.

ამხ. პეტრეს გავეცანი 1917—18 წ. ქალაქის თვითმართველობის ხმოსნათ ყოფნის დროს. ის ბევრი ლაპარაკის მოყვარული არ იყო, მაგრამ საქმით კი ძალიან ბევრს აკეთებდა.

— შემდეგ ამისა მას ვხედავთ ჩვენი ქალაქის სასურსათო კომიტეტის თავმჯდომარეთ,—სადაც საქმისადმი უანგარო სიყვარულით მოპყრობა ეტყობოდა.

1918 წ. ამხ. პეტრე უკვე ჩვენთან მუშაობს თავდაცვით კომიტეტში, სადაც ის დაუღალავ მუშაობას ეწევა და ერთი სამაგალითო წევრთაგანი ხდება. ამავე დროს მას ვირჩევთ ჩვენ რევოლუციონურ ტრიბუნალის წევრათ.

სახ. გვ. ორგანიზაცია ნორმალურ სახეს ღებულობს, ის უკვე მძლავრ ნიადაგზე მკვიდრდება და ამხ. პეტრესაც, როგორც საუკეთესო მომუშავეს—პრაქტიკოსა და შეუდრეკელ მებრძოლს ირჩევენ გვარდიის სამაზრო შტაბში, ეს იყო 1918 წ. ივნისის ბოლო რიცხვები. ამ დღიდან ამხ. პეტრე ერთი წუთით არ მოშორებია თავის საყვარელ საქმეს და მთელი თავისი ენერგიით მთელ დროს ამ საქმეს ანდომებდა. ის დარწმუნებული იყო, რომ გვარდიამ უნდა იხსნას თავისუფლება და განამტკიცოს რევოლიუციით მონაპოვარნი, ამიტომაც არის, თავდავიწყებით უყვარს ამხ. პეტრეს ყოველი გვარდიელი.

უკანასკნელ წუთებშიაც სახ. გვარდიაზე და მის გაუმჯობესებაზე ფიქრობდა. სიცხეში ჩავარდნილი, ილაჯ გაწყვეტილი, მოქანცული, გონება აბნეული, ამხ. პეტრე სიცხით გამოწვეულ ბოდვის დროსაც კი სახ. გვ. შტაბის საქმეებზე სწუხდა. მან იცოდა, რომ ცუდ დროს გვშორდება და მისი გაცრეცილი სახე, მიბნედილი თვალებიც ამას ამბობდნენ.

მოკვდა, აღარ არის. მაგრამ მან თავისი მუშაობით უკვდავ ჰყო თავისი სახელი. ის უკვდავია.

ძმათა სასაფლაოზე ერთი საფლავიც გაითხარა.

ბრძოლაში,—თავის რევოლიუციონურ პოსტებზე დაცემულთ, ერთი მსხვერპლიც შეემატა. ქალაქ სანდროს, ისაკის, გიორგის და საშას ამხანაგებით პეტრეც ეტუმრა.

ვსტირით უდროოდ მსხვერპლს.— გვარდიის ადრე დაკნობას.

საუკუნოთ იყოს ხსოვნა შენი ამხ. პეტრე!

შენი მეგობარი ი. ი. გაბუნია.

დაჭრილ-დასახიჩრებულთა საქმე ჩვენს რესპუბლიკაში

თითქმის ყველა დარგები ჩვენი ცხოვრებისა ერთგვარ წესიერ კალაპოტში დგება და დიდმნიშვნელოვანი საკითხებიც ღირსეულად ბოლოვდება, მაგრამ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი და საჭირო საკითხი—საქმე სახელმწიფოებრივი მასშტაბით დაჭრილ-დასახიჩრებულთა საქმისა ჯერ კიდევ ხელუხლებელი და მოუწესრიგებელია. სხვა სახელმწიფოებში ეს საქმე პირველ რიგშია დასმული და მას დიდ ყურადღებას აქცევენ. სამწუხაროთ ჩვენში ეს კითხვა ჯერ კიდევ მოუწყობელია. არა გვაქვს შემუშავებული საპენსიო კასა. არ გვაქვს მოწყობილი სახელოსნოები, არ გვაქვს სასადილო და თავშესაფარი დასახიჩრებულთათვის. არ ვიცით რამდენი გვყავს რესპუბლიკაში დასახიჩრებული მეომარნი და რამდენია შრომის უნარდაკარგული. მართალია კერძოთ მთავრობა ეხმარება, ერობები, საზოგადოებაც, მაგრამ უსისტემოთ და უწესოთ. არსებობს თფილისში ქალაქის დამხმარე კომიტეტი, რომელიც ორი თვეა ფაქტიურად ვერაფერს აკეთებს უსახსრობისა გამო. არსებობს რესპუბლიკის დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირი თფილისში, რომელსაც აქვს პატარა საჩექმე სახელოსნო, თავშესაფარი და მასთან არსებობს საპროტეზო ქარხანა, რომელსაც მთავრობა პატრონობს. მაგრამ უსახსრობის გამო ყოველივე ეს არ სდგას სათანადო სიმაღლეზე.

ამ ბოლო ხანებში ქართული წითელი ჯვრის საზოგადოება გაეცნო და დაინტერესდა ამ საკითხით. თუ რას მოგვიტანს ახალი წელი და წითელი ჯვრის მოღვაწეობა, ამას მომავალი დაგვანახვებს. ჩემი დაკვირვებით ნავარაუდევი რიცხვი დაჭრილ და დასახიჩრებულთა ჩვენს რესპუბლიკაში იქნება ხუთ ათასამდე. თავის თავად ცხადია, სახელმწიფოს არ ძალუძს ყველანი უზრუნველყოს მატერიალურად, მაგრამ სახელმწიფო ვალდებულია შეიმუშაოს ცხოვრებაში გასატარებლად საპენსიო საქმე. სახელმწიფო ვალდებულია შეადგინოს სრული სია ყველა დასახიჩრებულთა. დაეხმაროს ან არსებულ თფილისში კავშირს და სხვა ამგვარ ორგანიზაციებს გარკვეული გეგმით და სისტემით ან შექმნას ახალი ორგანიზაცია უფრო ფართო და მაგარ ნიადაგზე. თავშესაფარი, სასადილო და ინვალიდთა სახლის დაარსება სადღეისო საკითხია. თუ სახელმწიფო დღესვე საჩქაროდ ხელში არ აიღებს ამ საქმეს, კერძო ინიციატივა ვერაფერს უშველის. უნდა შევიგნოთ ყველამ, რომ ეს მეომარნი ჩვენი მოწინავე და საუკეთესო მოქალაქენი არიან, რომელთაც მიიტანეს თავისი უპირველესი ძღვენი სამშობლოს და დემოკრატიის წინაშე. დღეს ისინი ელიან სამართლიანათ საზოგადოებისაგან და სახელმწიფოსაგან ვალის მოხდას. ჩვენ არ უნდა შევადაროთ ეს დახმარება იმ დახმარებას, როდესაც კერძო პირნი, საზოგადოება და სახელმწიფო იღებს საზოგადოთ გაჭირვებულთათვის (მაგ. დაბადებულნი ბრმად, ქლექიანებისთვის და სხვა ათასგვარ უბედურ შემთხვევების გამო გაჭირვებულთათვის). ამ ახალ წელს თფილისში მყოფ დაჭრილების ნაწილს, რომელნიც მხოლოდ კავშირის საშუალებით ებრძვიან სიკვდილს სიმშილისაგან, ეღირსათ დღესასწაულის ჯეროვანათ შეხვედრა. ბევრი ამბობდა, რომ მომავალი წელი მოგვცემს საშუალებას ადამიანურ ცხოვრებისას. „ჩვენ, გაიძახიან ისინი", ცალი ხელით და ფეხით ყოველთვის მზათ ვართ მთლათ შევეწიროთ ჩვენს სამშობლოს". არც საყვედური, არც გაბრაზება, მხოლოდ მოთმინებით ელიან თავის მდგომარეობის გაუმჯობესობას.

დარწმუნებული ვარ, რომ დაჭრილ-დასახიჩრებულთა საქმე საბოლოვოთ და ღირსეულათ გადაიჭრება. ჩვენი მთავრობა და პასუხისმგებელი ფრაქცია ამ საკითხს დღესვე გადასჭრის.

დარწმუნებული ვარ იმაში, რომ დაჭრილნი და დასახიჩრებულნი შიმშილის მსხვერპლი არ გახდებიან. დაჭრილ-დასახიჩრებულთ უთენდება ახალი წელი და მათდამი ღირსეულათ მოპყრობა მაგალითად იქნება ყველა ჩვენ გვარდიელ და ჯარისკაცთათვის, რომელნიც მზათ არიან თავი შესწირონ დემოკრატიულ სახელმწიფოს და მთავრობას. უნდა გვიყვარდეს ჩვენი გვარდია და ჯარი არა მარტო ბრძოლის ველზე, არამედ უფრო მაშინ, როდესაც ისინი ღირსეულათ შეასრულებენ თავის უდიდეს და წმინდა მოვალეობას. ეს გაამხნევებს და ენერგიას გაუორკეცებს თითოეულ გვარდიელს და ჯარისკაცს.

ამ იმედით ვულოცავ მათ ახალ წელს!

ექიმი ა. ცინცაძე.

საქ. სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ყველა სამაზრო და საქალაქო ორგანიზაციებს

ცეკა მოაგონებს, რომ თანახმად პარტიული წესდების მეათე მუხლისა ყველა ადგილობრივი ორგანიზაცია ვალდებულია 15 იანვრამდე წარუდგინოს ცენტრალურ კომიტეტს ანგარიში გასული წლის მოღვაწეობის შესახებ. (უფ. 5—4)

რა აკლია მინის მუშას

(იხ. „ერთობა" № 299, 5)

მდინარეები მშვენივრათ არის მოწყობილი. ჩაყენებულია ვიწრო კალაპოტში, სადაც შეუძლია ცურვა პატარა სავაჭრო გემებს. ამითაც დიდ სარგებლობას სძენს ხალხს და სახელმწიფოსაც. აგრეთვე მოწყობილი აქვთ ხელოვნურათ თევზის საჭერი, როგორც დიდრონ მდინარეებში, აგრეთვე იმ ადგილებში, სადაც პატარა ტბებია. 1914 წელში ბევრი გერმანელი უბრალო გლეხის ოჯახში გვინახავს ბოჭკებში დამარილებული თევზები.

გერმანელები გარეული ნადირითაც დიდათ სარგებლობენ. მთელს ომიანობის დროს, როგორც თვით მცხოვრებლებს, აგრეთვე სამხედრო ტყვეებსაც კვებავდენ გარეული ნადირის ხორცით. ნადირთა შორის არის ირემი, შველი და უფრო მეტი კი კურდღელი. ნადირის საბალახოდ ტყეების მახლობლად სთესენ პურს და სხვადასხვა ბალახებს, აგრეთვე ზამთრისათვისაც გადახურულ ბაგაში უმზადებენ თივას. ვის უნდა დავაბრალოთ ჩვენი ასეთი ჩამორჩენა?

მიმოსვლა გერმანიაში მეტნაწილათ ველოსიპედებითაა იქ, სადაც შარაგზებია. მიუხედავათ იმისა, მამაკაცია ის, თუ დედაკაცი, მოხუცებულია თუ ახალგაზრდა, მუშაა თუ ინტელიგენტი, ვაჭარია თუ ჯარისკაცი—მიმოსვლა მაინც ველოსიპედითაა. ყველას შეუძლია ადგეს დილას თავის ოჯახში და ათ-თუთხმეტ ვერსზე ველოსიპედით წავიდეს სამუშაოთ. როდესაც გერმანელი მიიჩქარება ველოსიპედით სამუშაოთ, გეგონებათ არა უბრალო მუშა, არამედ—ვინმე ქალაქის მცხოვრები, ან ინტელიგენტი.

აქ აღსანიშნავია ისიც, რომ ყველას განურჩევლათ სამუშაოზე თან მიაქვს ზურგზე აკიდებული საგზალი. მივა მუშა დანიშნულ ადგილას თუ არა, იძრის თავის ევროპიულ ტანისამოსს და იცვამს მუშისას. იყო ასეთი შემთხვევა: სადაც მე ვმუშაობდი, იქ იყო ერთი [illegible] მუშა. საღამოს ექვს საათზე ამ მუშას გამოეცვალა ტანისამოსი და თითქმის ვეღარ ვიცანი, როცა დავინახე. ვიფიქრე და თან ამხანაგსაც ვკითხე: ეს კაცი სადღაც მინახავს-მეთქი. ამხანაგმა კი მიპასუხა: ამ კაცმა ახლა ტანისამოსი გამოიცვალა, რომ არ დავკვირვებოდი მეც ვეღარ ვიცნობდიო.

ასეთია მუშისა და გლეხის მდგომარეობა გერმანიაში და ჩვენ კი ამავე დროს უბრალო საცვლებიც არ გვეშოვება. ამ მდგომარეობიდან ჩვენ დაგვიხსნის შრომა და სწავლა. დავაარსოთ ყოველ საზოგადოებაში სასოფლო-სამეურნეო შკოლები. მართალია, ჩვენ ქონებრივათ ღარიბები ვართ, მარა ამის ცოტათ შესამსუბუქებლად მაინც უარვყოთ ის გამანადგურებელი და ქონებრივათ მიწასთან გამასწორებელი ადათ ჩვეულება, რომელსაც ჩვენ ვიძახით დღეობას, ქორწილსა, ნათლობასა და ტირილს. ეს აზიური მავნე ჩვეულება დიდი ხანია დასავლეთ ევროპის მოწინავე მუშებმა და გლეხებმა უარყვეს. დიდი ხანია ასეთ დამღუპველ მოვლენებს განათლებულ ევროპაში ადგილი არა აქვს. დროა წავბაძოთ კულტუროსან ერის ზნე-ჩვეულებას. გვეყო კუს ნაბიჯით სიარული. ყველა ამას აუარებელი ხარჯები მოსდევს და როცა ამას დავანებებთ თავს, მაშინ სულ ადვილად შეიძლება საშუალება მოგვეცეს ყოველ საზოგადოებაში თითო შკოლა მაინც დავაარსოთ. ასეთი შკოლების შეწყობით მომავლისათვის მაინც ვიმეცადინოთ, რათა ჩამომავლობამ თუ უფრო კარგად არა, გერმანელებსავით მაინც იცხოვროს ჩვენს ბუნების სიუხვით დაჯილდოვებულ ქვეყანაში. გერმანელთა ცხოვრებაში საყურადღებოა ისიც, რომ ქალაქიდან სოფლამდე და სოფლიდან სოფლამდი გაყვანილია ტელეგრაფი, ტელეფონი და ელექტრონის სინათლე. სოფლელი ოჯახს ყველგან ელექტრონით ანათებს. ჩვენში კი ელექტრონით განათება საგუბერნიო ქალაქებს ძლივს შეუძენია. ასეთი მოწყობილება სახელმწიფოსაც ბევრ რამეში შველის. იყო მაგალითები, როცა ლაგერიდან ტყვე გაიქცა, მაგრამ ტელეგრაფებისა და ტელეფონების შემწეობით საათის განმავლობაში მთელი რაიონი ფეხზე დადგა და გზებიც ყველგან შეკრეს. ამნაირად რამდენიმე დღის განმავლობაში ტყვე უკანვე მოიყვანეს.

გერმანიის ყოველივე საგნის ცოდნა, რასაკვირველია, საინტერესოა ჩვენთვის, მაგრამ რადგან ყველაფერი ეს ერთად მიუწვდომელი იქნება ჩვენთვის და ამ ჟამათ საუბარი გვაქვს მეურნეობაზე, ამისათვის დავანებოთ ყველა ამაებს თავი და დაუბრუნდეთ თვით საგანს.

გერმანიაში მიღებულია საზოგადოდ დღეში ხუთჯერ საჭმლის ჭამა მაგ. დილის სამუშაოს დაწყების წინ საათის შვიდზე—თბილი თბილი სუფი, საათის ცხრაზე საუზმე (ფრიშტიკ), სადილი საათის თორმეტზე, სამხარი (ვესპა) ნაშუადღევის ოთხი და დაახლოვებით ვახშამი 7—8 საათზე საღამოს. საჭმლის ჭამის დროს ხმარობენ სასმელათ რძიან ყავას. რძისაგან აკეთებენ გერმანელები ერბოს, ყველს, ხაჭოსა და ხმარობენ მომჟავებულსაც. საჭმელათ ხმარობენ აგრეთვე ყოველივე ქირნახულს და უფრო მეტად კი კარტოფილს, ვიდრე პურსა. მართალია ის, რაც ძველთაგან არის ნათქვამი: „კარგ მთქმელსა და მასწავლებელს კარგი გამგონეც უნდა, თვარა მარტო თქმით არაფერი გაკეთდებაო". ვნახე, რომ მთქმელი კარგა ხანია გვყოლია, მაგრამ გამგონე კი ცოტა. აი, მაგალითად, რასა წერს განსვენებული, დაუვიწყარი მასწავლებელი იაკობ გოგებაშვილი, თავის რჩეულ პედაგოგიურსა და პუბლიცისტურ ნაწერებში (ტომი I, გვ. 101), სწავლისა და განსაკუთრებით მეურნეობის შესახებ:

„მეურნეობა მეტად რთული საგანია; მას ეჭირვება თეორიული და პრაქტიკული შესწავლა. ბუნება ემორჩილება მხოლოდ მას, ვინც მისი კანონების ცოდნით არის აღჭურვილი, მისთვის არის სიმდიდრის წყარო, ვისაც მისი ძალთა გამოყენება, სარგებლობა შეუძლია. უმეცარს კაცს შეუძლია შიმშილით მოკვდეს თვით უმდიდრეს ბუნებაში, თუ მას ამ ბუნებისა არაფერი გაეგება. თვით ღატაკი ბუნება შეიძლება ადამიანმა შექმნას სიმდიდრის წყაროთ, თუ მან ზედ მიწევნით იცის, საიდან უნდა მოუაროს ამ ბუნებას და როგორ გახადოს იგი თავის მოთხოვნილების მოსამსახურეთ. ინგლისის ბუნება სინოყიერით რუსეთის ბუნებას სრულიადაც ვერ სჯობია, მარა ინგლისური ქირნახულის მოსავალი ექვსჯერ სჯობს რუსეთისას. ჰოლანდია ჩვენს ქვეყანაზე ბუნების სიმდიდრით ბევრათ დაბლა სდგას, მაგრამ ჰოლანდიის ერის სიმდიდრე და კეთილ-დღეობა ერთი ათად მაღლა სდგას ჩვენი ხალხის დოვლათსა და შეძლებულობაზე. ეს ხდება იმიტომ, რომ ჰოლანდიელები და ინგლისელები ბუნების ცოდნაში, მეურნეობაში დახელოვნებული არიან, რუსეთსა და ჩვენში კი აქამდი უმეცრება სუფევს. ამგვარი უმეცრების მოსასპობათ უკეთეს საშვალებათ ითვლება სასოფლო სამეურნეო შკოლები, რომელთა რიცხვი წარსული საუკუნიდან დაწყობილი ყოველ დღე მატულობს ევროპაში. მეურნეობის შესწავლის ისტორია მეტად საინტერესო და საყურადღებოა ჩვენთვის. სამეურნეო შკოლა ჩვენში სრულიად ახალი მოვლენაა და იგი წარმატებით იმოქმედებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენ განათლებული ხალხის გამოცდილებით ვისარგებლებთ და თავიდან ავიცილებთ იმ შეცდომებს, რომელნიც მეურნეობის შესწავლას აბრკოლებდენ და აძნელებდნენ თვით ევროპაში" ო.

ასეთი აზრი ჰქონია ჯერ კიდევ 1883 წ. ჩვენი მეურნეობის აღორძინების შესახებ იაკობ გოგებაშვილს. საჭირო იყო იმ დროიდან დაწყებული მეტი ყურადღებით მოჰყრობოდნენ მეურნეობის საქმეს, რომ ის დღემდი ჩაყენებიათ სასურველ პირობებში, მარა ჩვენი საზოგადოება მას გულ გრილათ შეხვდერია. სწორეთ იგივე მეორდება დღესაც და ამიტომ არის, რომ ჩვენი მეურნეობა ისევ უკუღმართ პირობებშია დარჩენილი; მშველელი კი არავინ არის, ჩვენს ბედზე ზრუნვა სხვას არასოდეს არა სჩვევია, თუ ისევ ჩვენ არ ვუშველეთ მას და მისი აღორძინებით წინ არ დავაყენეთ ჩვენი ეკონომიური ცხოვრება.

ახლა კიდევ უნდა დავუმატო, რომ მეურნეობა ყოველთვის დამყარებულია ადგილობრივი ჰავის პირობებზე.

აქ ადამიანის გავლენა განსაზღვრულია, აშკარაა, რომ ყავს ვერ მოვიყვანთ ცივსა და ქაოზიან ადგილებში. საქართველოს ბუნება შექმნილია მაღალი კულტურის მეურნეობისათვის.

პური და სიმინდი თუ მოგვყავს ქართველებს, ეს მხოლოდ იმას გვიჩვენებს, რომ ჩვენი მეურნეობა ჯერ კიდევ ჩამორჩენილია. ჩვენი ქვეყნის მეტათ ნაზი ბუნება საშუალებას გვაძლევს მეტი წილი პურისა და სხვა ხორბლეულის მოყვანისა სხვა ქვეყნებს დავუთმოთ. ჩვენ უნდა მოგვყავდეს, ღვინო, ხილი, დაფნა, ჩაი, აბრეშუმი, ბამბა და აგრეთვე თამბაქოც.

ჩვენი მხურვალე სურვილი მხოლოდ ის არის, რომ საზოგადოებამ ფხიზლათ შეხედოს თავის მდგომარეობას; ღრმათ ჩაუკვირდეს მას, მტკიცეთ იგრძნოს თავისი ეხლანდელი მოუმზადებლობა, უმაღლეს მეურნეობისა და მისი ნაკლულევანების მოსპობაზე დაამყაროს თავისი მთავარი ზრუნობა, თავისი მეცადინეობა მოახმაროს ერთს, ყველაზე უფრო უსაჭიროესსა და დიდ მნიშვნელოვან საგანს. ე. ი. ჩვენებურ გლეხთა ადგილ-მამულის სამეურნეო კულტურის განვითარებას.

მთელმა ევროპის ხალხმა იგრძნო თავისი ძველი უვარგისობა მეურნეობის საქმეში, მთელი ევროპის გლეხებმა უარჰყვეს ძველი, პრიმიტიული წესით მუშაობა და შემოიღეს ნიადაგის გამოფიტვის შემდეგ, მისგან, გამაპოხიერებელი სასუქით და აგრეთვე გაუმჯობესებული მანქანებით, სარგებლის მოყვანა. ნუ თუ ჩვენც ადამიანები არა ვართ? ნუ თუ ჩვენც არა გვაქვს წარსულის ისტორია? არა, პირველიც ვართ და მეორეც გვაქვს, მხოლოდ ჩვენ გაგვასწრეს სხვა ერებმა და თავიანთი მეურნეობა წინ დააყენეს.

ამიტომ მოუწოდებ ხალხის მოწინავე, პატიოსან საზოგადოებას და ინტელიგენციას დახმარება მოგვცეს ამ მძიმე შრომის დასაგვირგვინებლად; მაგალითად სამეურნეო შკოლების დაარსებაში და აგრეთვე ყოველ პერიოდულსა და სამეურნეო ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების გამოცემაში და ამნაირი თანდათანობითი ნაბიჯით დავეწიოთ ჩვენზე წინ გასწრებულ ევროპის სხვა ერებს.

მინდოდა ბევრი ცნობები მომეწოდებია თქვენთვის, მაგრამ ამ პატარა წერილში ვთავებ მეურნეობაზე საუბარს. და ამ პატარა წერილით თქვენი გასტუმრების მიზეზია ჩემი უსწავლელობა. ამ წერილის დამწერს შკოლის სკამიც არ მინახავს. თქვენ კი გთხოვთ ეცადოთ, რათა გამოზარდოთ მეურნეობის მცოდნე შვილები.

ყოფილი სამხედრო ტყვე
ერისტო დ. ქაჭარავა.

ქ. ცოსენი (გერმანია)
1915 წ. 10 ენკენისთვე.

სრულიად საქართ. მასწავლებელთა ყრილობა

8 იანვარს თფილისში გაიხსნა სრულიად საქართველოს მასწავლებელთა დელეგატების ყრილობა. ყრილობაზე ჯერ ჯერობით გამოცხადდა 120-დე დელეგატი. არიან ყველა ტიპის და საფეხურის სასწავლებელთა წარმომადგენელნი. ყრილობის გახსნას დაესწრნენ: განათლების მინისტრი ნ. რამიშვილი და მისი ამხ. ნ. ცინცაძე, დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი და დამფ. კრების ზოგიერთი წევრები, პრესის წარმომადგენელნი და გარეშე საზოგადოება. ყრილობა გახსნა საორგანიზაციო კომიტეტის სახელით ელ. მდივანმა. რომელმაც თავის მოკლე სიტყვაში გააცნო ყრილობას მისი მოწვევის მიზეზი და დანიშნულება.

ყრილობას პირველად მიესალმა განათლების მინისტრი ნ. რამიშვილი, რომლის გამოსვლას დარბაზი მხურვალე ტაშით შეხვდა. მოგვყავს მისი სიტყვის შინაარსი: თავისუფალი და დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სახელით გულითად სალამს ვუძღვნი სახალხო განათლების მუშაკთ და მათ პირველ ყრილობას.

სხვადასხვა პროფესიათა შეკავშირებას, რომელსაც წინეთ ადგილი ჰქონდა პირველათ სულ სხვა ხასიათი ექონდა. მათი უმთავრესი დანიშნულება იყო ძველი წყობილების დანგრევა და შემდეგ ახალის აშენება. მე ბედნიერათ ვრაცხ თავს გამოვაცხადო, რომ თქვენ იმ დროს იწყებთ შემოქმედებით მუშაობას, როდესაც პირველი ნაწილი საქმისა უკვე გაკეთებულია და თქვენი შეკავშირების მიზანი იქნება დემოკრატიული წყობილების განმტკიცება, დემოკრატიული სკოლის მოწყობა და მე ღრმათ ვარ დარწმუნებული, რომ სახალხო განათლების მუშაკნი იქნებიან იმ მთავრობასთან, რომელიც გამოსულია ხალხის წიაღიდან და მის ჭირ-ვარამს ემსახურება და მასთან ერთად განამტკიცებენ ჩვენს დემოკრატიულ წყობილებას.

სკოლა დღემდე გერათ იყო მიჩნეული. დღეიდან ის უნდა შეიქნეს, მე მეტსაც ვიტყვი, ის უკვე შეიქნა ჩვენი რესპუბლიკის ერთიერთ ქვაკუთხედი.

მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სკოლის საქმეს და უკვე საფუძველი ჩაუყარა მის (სკოლის) გარდაქმნის საქმეს. ეს არის სოციალურათ და პედაგოგიურათ ერთიანი სკოლა და ამას ჩაეყარა საფუძველი. სოციალურათ და პედაგოგიურათ ერთიან სკოლა დემოკრატიულ წყობილებაში ქმნის იმ პირობებს, როდესაც სწავლა-განათლება ყველასათვის ხელმისაწვდომი იქნება. მე ღრმათ ვარ დარწმუნებული, რომ ამ დიდ საქმის განხორციელებაში მთავრობას თქვენის სახით აღმოუჩნდება ძლიერი დამხმარე.

ჩვენ დიდ ნაკლს ვგრძნობდით და ახლაც ვგრძნობთ ტეხნიკური ძალების უყოლობაში. ეს გარემოება აფერხებს არა მარტო პროფესიონალური განათლების გავრცელების საქმეს, არამედ თვითონ სახელმწიფოებრივ შემოქმედებასაც, მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეს ნაკლი ახლო მომავალში თავიდან აცილებული იქნება. ჩვენი მიზანია სკოლის რეფორმის, რაც შეიძლება დაჩქარებით გატარება. ჩვენ გვსურს, რომ სწავლა-განათლება გახდეს საყო-

ველთაოდ და მით შევქმნათ პირობები სახელმწიფოებრივი შემოქმედებისათვის. და ჩვენ გვწამს, რომ თუ ერთ წელში არა, ოთხი, ხუთი წლის განმავლობაში ამ დიდ რეფორმებს განვახორციელებთ. ჩვენ, როგორც სხვა ჩამორჩენილი სახელმწიფოები, მარტო ახალგაზრდების მიღებაზე არ შეგვიძლია დავეყრდნოთ. ჩვენში უნდა შეიქნას ისეთი პირობები, რომ სწავლა-განათლების მიღება შესძლონ მოზრდილებმაც, (დიდებმაც), ეს შეიძლება სკოლის გარეშე განათლების მოწყობით და ჩვენ სათანადო წინადადებით შევდივართ დამფუძნებელ კრებაში და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ თქვენ, სახალხო განათლების მუშაკნი დაგვეხმარებით ადგილობრივათ ამ გეგმის განხორციელებაში.

თქვენი მდგომარეობა მართლაც აუტანელით შეიძლება ჩაგვერიცხა. ეს დაფუძნებული იყო იმაზე, რომ ძველი რეჟიმისათვის სწავლა-განათლება შეადგენდა ბოროტებას; სწავლა-განათლების გაფართოვება, განვითარება მას აუცილებელ სამარეს უმზადებდა დღეს, როცა ძველი რეჟიმი სამარეში გადაიშვა, მოისპო ის პირობებიც, რომელნიც სწავლა განათლების გავრცელებას ხელს უშლიდა. ჩვენ სხვა უწყებებთან შედარებით ოდნავ მაინც გავაუმჯობესეთ.

თქვენ იცით, რომ ჩვენ გადავდგით ერთი ფრთხილი და გაუბედავი, მაგრამ აუცილებელი ნაბიჯი ეს არის ეროვ. სკოლის შექმნა. ფრთხილი, გაუბედავი იმიტომ, რომ ამ საქმის განხორციელება მეტად ძნელი იყო და არის. ეს იმიტომ, რომ ჩვენი ერი, ინტელიგენცია და მეთაურები უკვე ერთი საუკუნეა, რაც მიჩვეულია სხვა ენაზე აზროვნებას: ამ მხრით მუშაობა ახლაც სწარმოებს, ის არ არის დამთავრებული. ჩვენ ჯერ ხნობით არ გვაქვს ისეთი სახელმძღვანელოები, რომელიც სავსებით შეეფერებოდეს ჩვენს დემოკრატიულ ეროვნულ სკოლას. მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ყოველგვარი დაბრკოლება ძლეულ იქნება და თანდათან შეიქმნება ნამდვილი ეროვნული და დემოკრატიული სკოლაა მთავრობის მუშაობა სწორედ ამ ჩემ—მიერ აღნიშნულ მიზნებისაკენ არის მიმართული და მე მწამს, რომ ყველაფერ ამას მთავრობა გააკეთებს მხოლოდ მაშინ, როცა ის დაეყრდნობა მასწავლებელს, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. მხოლოდ უნდა განვაცხადო, რომ ის ნამდვილი მასწავლებელი, რომელსაც ჩვენ ვეტრფით, ჩვენი მონობის ხანაში არ სჩანდა, მონობის უღლის ქვეშ ის გადაქცეულიყო მოხელეთ, რომელიც შექმნილ პირობებისა გამო უმთავრესად იმაზე ზრუნავდა. როგორმე წარმატება მიეღო სამსახურში. მე ამით არ მინდა ვინმეს უსაყვედურო, მე მხოლოდ მინდა დავახასიათო ის დრო, რომელშიაც თქვენ იმყოფებოდით და როგორი იყო მისი გავლენა. მასწავლებელი უნდა იყოს იდეიური, თავისი საქმის სიყვარულით გატაცებული და საზოგადოებრივი შემოქმედებისათვის მომზადებული და განწყობილი. სოფელში მასწავლებელი პირველია თავისი მდგომარეობით, ის პირველი უნდა შეიქნეს თავისი შეგნებითაც მე იმედი მაქვს, რომ მასწავლებლები თავიანთი შემოქმედებითი საზოგადოებრივი მუშაობით დაიკავებენ საპატიო ადგილს და ყველას რეალურათ აგრძნობინებენ მათდამი ღირსეულათ მოპყრობის აუცილებელ საჭიროებას და მაშინ შეიქნება ისეთი პირობები, რომ საჭირო არ იქნება პროვინციებიდან ცენტრისაკენ ლტოლვა. თქვენ მაშინ საშუალებას მისცემთ მთავრობას ისე მოაწყოს საქმე, რომ ჩვენი ერი კულტურულ ერათ იქნას მონათლული და ყველას მიერ ცნობილი. მთავრობის სახელით კიდევ გიძღვნით სალამს და გისურვებთ ნაყოფიერ მუშაობას. (ტაში).

შემდეგ დამფუძნებელი კრების სახელით ყრილობას მიესალმა ს. მდივანი, დამფ. კრების განათლების კომისიის სახელით ლეო ნათაძე, სოც.-ფედერალისტთა პარტიის სახელით ი. ბარათაშვილი, ყრილობას მიესალმა აგრეთვე საქართველოს ჭლექთან მებრძოლ საზოგადოების წარმომადგენელი. სხდომა შესწყდა ნახევარი საათით. სხდომის განახლების შემდეგ არჩეულ იქნა 7 კაცისაგან შემდგარი პრეზიდიუმი. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ალ. მდივანი, მის ამხანაგებათ ვ. ბურჯანაძე და ვ. იმნაძე, მდივნებათ: მიქაბერიძე, ბერიძე, ოდიშარია და გიორგობიანი. არჩეულ იქმა აგრეთვე სამანდატო კომისია. ამით გათავდა პირველი სხდომა.

პროფესიონალურ კავშირებში

სურსათის საქმეზე მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირის გამგეობამ შემდეგი მიმართვა გაუგზავნა პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ საბჭოს სეკრეტარიატს:

სურსათის საქმეზე მომუშავეთა პროფესიონალური კავშირის გამგეობამ 2 იანვრის სხდომაზე იქონია რა მსჯელობა პირველი საჭიროების საგნებზე ბაზარზე ფასების საგრძნობლათ აწევის შესახებ და გაუწია რა ანგარიში მთავრობისა და მომარაგების შრომის სამინისტროს ცდას მუშებისა და მოსამსახურეების პირველ საჭიროების საგნებით დაკმაყოფილების შესახებ 1000 მ. მეტანით, გთხოვთ დააჩქაროთ მუშათათვის საგნების მიწოდება,—აიძულეთ ყველა მეპატრონენი და მწარმოებლები დაჩქარებით შეიტანონ 1000 მან. გადასახადი თითეულ მუშა-მოსამსახურეზე და სატარიფო პალატაში დაისვას საკითხი ახალი მომატების შესახებ პირველი საჭიროების საგნებზე, 15 ნოემბრიდან ფასის მომატების მიხედვით.

ჩვენი კავშირის მუშები იმყოფებიან რა აუტანელ მატერიალურ პირობებში, გთხოვენ დააჩქაროთ ჩვენი შუამდგომლობა და გამოიყვანეთ მუშები შექმნილ მდგომარეობიდან.

4 იანვარს ნაშუადღევის 2 ს. შესდგა თორნეებში მომუშავეთა საზოგადო კრება. საბჭოს წარმომადგენელმა განუმარტა კრებას ორგანიზაციის შექმნისა და ამ სექციის სასურსათო საქმეზე მომუშავეთა კავშირში შესვლის აუცილებლობა. კრებამ ერთხმად მიიღო ეს განმარტება. არჩეულ იქნა ხსენებულ სექციის საერთო ხელმძღვანელათ 3 კაცი, რომლებიც შევლენ სურსათის საქმეზე მომუშავეთა ცენტრალურ გამგეობაში. ქალაქი დაყოფილი იქნა 6 რაიონად, რომელშიაც ამორჩეულია თითო ხელმძღვანელი, რომელთაც დაევალა აგრეთვე რაიონებში ხელმძღვანელობა.

— იმავე დღეს შესდგა შეშის საწყობებში მომუშავეთა საერთო კრება. დაარსდა მთელი თფილისის ამ დარგის საწყობებში მომუშავეთა ორგანიზაცია. ამორჩეულ იქნა 3 კაცისაგან შემდგარი გამგეობა, რომელსაც დაევალა ახლო მომავალში ამ დარგზე მომუშავეთა საამშენებლო მუშათა კავშირთან შეერთება.

25 დეკემბერს შესდგა შეერთებული კრება შემდეგი კავშირების გამგეობისა: მეღვინეების, მეპურეების, ზეთზედ მომუშავეების, მეძეხვეების, სალახების, მეკანფეტეების და მეგალეტების. კრებას დაესწრო 26 კაცი.

მოხსენებას კავშირების გაერთიანების შესახებ აკეთებს ამხ. ფანცხავა, ის აცნობს სექციების გამგეობებს, რომ ამ ჟამად არსებულ მრავალ სექციებიდან უნდა შესდგეს ერთი დიდი მტკიცეთ შეკავშირებული ცენტრალური კავშირი, რომელშიაც შევლენ შემდეგი სექციებიდან: სარდაფებში მომუშავეთა, მინერალურ წყლებზე, კონიაკზე, არაყზე, ლუდზე, პურზე, წისქვილებზე, ბულკზე, ზეთზე, საპონზე, ხორცზე, ძეხვზე, მაკარონზე, გალეტზე, კამფეტზე და ჩაიზე. ფანცხავა შეეხო მომავალ გაერთიანებას და განმარტა, რომ დაქუცმაცებული სექციები ვერ შესძლებენ აწარმოონ საქმეები ისე, როგორც ამას აწარმოებენ მომავალში გაერთიანებული ერთ კავშირში სექციები.

პრინციპიალურად ეს საკითხი, ამბობს ფანცხავა, იყო გადაჭრილი ორი თვის წინად და ამისათვის დღევანდელი კრების მიზანი არის დაადასტურონ ეს გაერთიანება და შეუდგნენ ძირითად მუშაობას. კრებაზედ ყველა სექციებმა განაცხადეს სურვილი გაერთიანების, გარდა ზეთზედ მომუშავე მუშებისა, რომლის წარმომადგენელმა ამხ ერემეევმა სთქვა, რომ იმათი გამგეობა ჯერ ჯეროვნათ უარზედ არის გაერთიანებისაო. დანარჩენ სექციებმა აღნიშნეს აუცილებელი საჭიროება გაერთიანების და მოითხოვეს კრებაზედ დროებითი გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევა.

არჩეულ იქმნა: სარდაფებში მომუშავეებიდან: ი. ყაჭრიშვილი, პ. ქურხული, ი. ტოგონიძე, გ. ასათიანი, ნ. ამაშუკელი. კანდიდატები: დოლინჯაშვილი—გოჩიტაშვილი. სალახებიდან: დ. ხერხეულიძე, კაპალაშვილი, ი. რამაზაძე, ივ. გ. რამაზაძე, ვ. გიგულაშვილი. მეპურეებიდან: გურული, ალექსიანი, ხ. ჩატურიანი, აკოფიანი, სტეფანიანი, აფ ნოვე, სირაძე. სარევიზიო კომისიის წევრები, სარდაფებიდან: ზარაშიძე—ავალიანი. სალახებიდან: ბოკერია—ნაბუცრიშვილი. მეპურეებიდან: მილლერი მაისურაძე

ბინის დაქირავების შესახებ გამგეობამ აირჩია სამი კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელშიაც შევიდნენ ერემეევი, ფანცხავა და მანთიძე. რაც შეეხება კანცელარიის თავის რიგზე დაყენებას, რეგლამენტის შემუშავებას და ასეთებს, ეს საკითხები გადაიდო შემდეგი კრებისთვის. დაბოლოს სიტყვა წარმოსთქვა ზეთზედ მომუშავე მუშების თავმჯდომარემ ამხ. ერემეევმა, რომელმაც განაცხადა, რომ მომავალ კრებისათვის იმათი სექციიდან იქნება გარკვეული პასუხი გაერთიანების შესახებ და ამასთან ის გააცნობს იმ სურვილების სისრულეში მოყვანას, რომლებიც დღეს დაადასტურეს და განახორციელეს დანარჩენმა სექციებმა.

ბ. მანთიძე.

ს.-დ. პარტიაში

გურია 27 დეკემბერს, ქ. ოზურგეთში შესდგა ს. ს. დ. მ. პარტიის გურიის კომიტეტის სხდომა. დაესწრნენ წარმომადგენლები 27 სარაიონო საკოლექტივოდან, სულ 48 წევრი. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. გ. შილაკაძე, მდივნათ ამხ. მ. ბალუნაიშვილი. თანახმად კომიტეტის წინა მორიგი კრების დადგენილებისა, ყველა რაიონებში მოხდა არჩევნები, როგორც კომიტეტის წევრთა, ისე სარაიონო კოლექტივებისა და ამიტომ კრებაზე გამოცხადდა ახალი შემადგენლობა კომიტეტისა. მანდატების განხილვიდან გამოირკვა, რომ ახალი არჩევნები მომხდარა 28 რაიონში, საიდგანაც არჩეულია კომიტეტში 45 წარმომადგენელი; არჩევნები არ მომხდარა 2 რაიონში, ამ რაიონებიდან გამოცხადდა ძველი წარმომადგენლები.

განსახილველი იყო საკითხები: 1) ძველი პრეზიდიუმის მოხსენება. 2) პრეზიდიუმის არჩევნები. 3) მოხსენებები რაიონებიდან. 4) პარტიული მუშაობის შესახებ და 5) მიმდინარე საკითხები.

ძველი პრეზიდიუმის სახელით მოხსენებას აკეთებს ამხ. მ. რამიშვილი, რომელიც აცნობს კრებას პრეზიდიუმის მუშაობას საერთოდ და კერძოთ უკანასკნელი გამოსვლების შემდეგ მიღებულ ზომებს პარტიული მუშაობის გაძლიერებლად ჩამორჩენილ რაიონებში.

სანამ პრეზიდიუმის არჩევნები მოხდებოდა, კომიტეტმა კოოპტაციით თავის წევრებათ მიიღო ამხანაგები: გ. შილაკაძე, ყ. ქარცივაძე, ივ. ღლონტი, მ. ბალუნაიშვილი და რ. ჩხაიძე.

შემდეგ კომიტეტის პრეზიდიუმში ერთხმად იქნენ არჩეულნი: გ. შილაკაძე, მ. რამიშვილი, გ. გოგუაძე, მ. საბაშვილი, პ. თოთიბაძე, ყ. ქარცივაძე, ივ. ღლონტი, რ. ჩხაიძე და მ. ბალუნაიშვილი.

შემდეგ ვრცელ მოხსენებებს აკეთებენ ამხანაგები რაიონებიდან; ირკვევა, რომ ყველგან სამაგალითო წესრიგია, ბოლშევიკებისაგან მოტყუებულნი პირები სინანულს გამოსთქვამენ თავიანთი შეცდომების გამო და პატიებას ითხოვენ; პარტიული მუშაობა თანდათან ნორმალურ კალაპოტში ვარდება. გვარდიაში ხალხი ეწერება, რაც რეზერვს აძლიერებს; თემები დაუღალავ მუშაობას ეწევიან, გადასახადებს ხალხი იხდის; ინტრიგა ორგანიზაციებში თანდათან კლებულობს. ინტრიგა არ ამოფხვრა მხოლოდ ასკანის ორგანიზაციაში, სადაც, როგორც მომხსენებელმა განაცხადა, მდგომარეობა კვლავ გართულებულია.

მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ გურიის ორგანიზაციებში ითვლება დაახლოვებით 9,000-მდე წევრი, ბევრი მოითხოვს წევრათ ჩაწერას, მაგრამ ორგანიზაციები ძლიერ ფრთხილობენ და ბევრს უარს ეუბნებიან. ამის შესახებ კომიტეტმა დაადგინა: პარტიაში მიღებული იქნან მხოლოდ ისეთები, ვინც თავისი მოქმედებით დაამტკიცებს, რომ ის ამის ღირსია.

მოხსენებათა შემდეგ ამხ. ს. ჭანტურიშვილი (ერობის თავმჯდომარე) უპასუხებს ყველა იმ შეკითხვებზე, რომლებიც ზოგიერთ მომხსენებელთაგან მიმართული იყო სამაზრო ერობისადმი და უკანასკნელად აცხადებს, რომ ის მზათაა შემდეგ კრებაზე კომიტეტისა ვრცელი მოხსენება გააკეთოს სამაზრო ერობის მუშაობა მოღვაწეობის შესახებ.

ცეკას მოღვაწეობის გამო სეკრეტარიატისათვის საჭირო ცნობების მიწოდების შესახებ კომიტეტი ავალებს ყველა რაიონულ ორგანიზაციებს წარმოუდგინონ პრეზიდიუმს საჭირო ცნობები თანახმად ცენტრ. კომ. მიერ მოწოდებული ფორმისა ცეკაში წარსადგენათ.

თანახმათ ამხ. მ. რამიშვილის მოხსენებისა კომიტეტი ავალებს რაიონულ ორგანიზაციებს გააძლიერონ მუშაობა ახალგაზრდების ორგანიზაციებში ადგილობრივათ.

რამიშვილისვე მოხსენებით კომიტეტი დაუშვებლათ სთვლის რა არსებულ პირობებში ეკონომიურ გაფიცვას, რომელიც მიმართულია სახელმწიფოს და მაშასადამე, ჩვენი პარტიის წინააღმდეგაც, ადგენს გამოირიცხოს პარტიიდან ისეთი წევრი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ეკონომიურ გაფიცვაში.

გვარდიის შტაბის წევრი რ. ჩხაიძე მოახსენებს კრებას იმ სასურველ შედეგებზე, რაც მოყვა პარტიულ ორგანიზაციების მუშაობას ადგილობრივათ გვარდიის გაძლიერებლად და სთხოვს ამხანაგებს კიდევ განაგრძონ მუშაობა საიმედო ამხანაგების გვარდიაში ჩასაწერათ. უკანასკნელათ, რამდენიმე წვრილ საკითხების გარჩევის შემდეგ კომიტეტი ირჩევს საკონტროლო კომისიას, რომელშიაც არჩეულ იქნენ ამხ—ბი: აფ. ცინცაძე, ვ. კილაძე და გრ. მახარაძე.

ხუხიან.

მუშათა შორის

თფილისი. 26 დეკემბერს შესდგა თფ. საქონელთ-მზიდველთა პროფესიონალურ კავშირის გამგეობის მორიგი სხდომა. პირველი კითხვის შესახებ, რომელიც შეეხებოდა სააგენტო-სატრანსპორტო კანტორა „ნადეჟდას“ განცხადებას, დადგენილ იქნა, მიეცეს მოწმობა ხსენებულ კანტორას იყოლიოს ერთი „კაჩკა“ მხოლოდ კანტორის საქმეების გადასაზიდ-გადმოსაზიდათ, რაც ეცნობოს ყველა ბირჟებს. მეორე კითხვა გადადებულ იქნა, ვინაიდან მოხოვნილი ზუკაკიშვილი არ გამოცხადდა. კავშირის წევრის ვანო მცხეთელის მოჯამაგირის შესახებ, რომელსაც ბრალდებოდა 250 მანეთის მოპარვა, დადგენილ იქნა: ხსენებულმა მოჯამაგირემ გადაიხადოს 250 მანეთი და მიეცეს წინადადება, რომ, თუ მეორეჯერ დაუშვებს ასეთ საქციელს, დათხოვნილ იქნება სამსახურიდან. საპყრობილეთა ინსპექციის წარმომადგენელის განცხადება დაკმაყოფილებული იქნა. თათრის მოედნის ბირჟის მომწესრიგებელის განცხადება — ხსენებული ბირჟის და ერევნის მოედნის ბირჟის შუა მიჯნის დადების შესახებ—უარყოფილ იქნა. მეოთხე კითხვის შესახებ თავმჯდომარე მოახსენებს კრებას, რომ ხშირად უდებენ ზოგიერთი წევრები „პოდვოდებზე“ განსაზღვრულ ნორმის ზევით ტვირთს და ხშირია შემთხვევები, რომ ზედმეტ ტვირთს ვერ იტანს ცხენი, ჩერდება შარა-გზაზე, რის შემდეგ პატრონი ცხენს ურტყამს უმოწყალოთ, რაც ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებს მოქალაქეებზეო. კრება იზიარებს თავმჯდომარის აზრს და ადგენს: დაეგზავნოს ყველა ბირჟების მომწესრიგებელს მიწერილობები, რათა სასტიკათ დაიცვან ტვირთის გადაზიდვის ნორმა, რომელიც განსაზღვრულია საზოგადო კრების მიერ ე ი წყვილ ცხენიან „პოდვოდზე“ 100—120 ფუთი, ხოლო ცალ-ცხენიანზე—თუ ცხენი 1-ლი ხარისხისაა—70 ფუთი. თუ ცხენი 2-რე ხარისხისაა—60 ფუთი. მეხუთე კითხვის შესახებ კავშირის საქმის მწარმოებელი დ. ქუჩულორია მოახსენებს კრებას მიექციათ ყურადღება კოოპერატივ „შრომა“-სთვის, რომელიც დაარსებულია საქონელთ-მზიდველებისაგან სპეციალურათ ცხენის ფურაჟის და სხვა საჭირო საგნების მისაწოდებლათ და რომელიც ეხლა სულს ღაფავს გამგეობის წყალობით და მოქმედებით. კრება ხსენებულ კითხვის შესახებ ადგენს: გაეგზავნოს კოოპერატივის გამგეობას ოფიციალური მიმართვა, რათა მან მოიწვიოს საზოგადო კრება დაჩქარებით კოოპერატივის წესდების 28 ვე მუხლის თანახმათ. გადიდებულ იქნას მოსამსახურეთა ჯამაგირი: საქმის მწარმოებელს კავშირისას დაენიშნოს თვეში სამი ათასი მანეთი, ხაზინადარს—ათას ხუთასი მანეთი და შიკრიკს ათას ორასი მანეთი. მოქალაქე მელიქ მურადიანის თხოვნის შესახებ დადგენილ იქნა: ეთხოვოს თფ. საბარგო სადგურის ბირჟას დაშვებულ იქნას ხსენებული მურადიანი აღნიშნულ ბირჟაზე სამუშაოთ.

დომიდე ქუჩულორია.

მუშათა კლუბში. 27 დეკემბერს სანდრო მაისურაძის სახელობის სამკითხველოს სასარგებლოთ გაიმართა საღამო. წარმოდგენილ იქნა „ამნისტია“—დრამა ერთ მოქმედებათ, „ედის ერთა“ და „სოფლის ფერშალი“ თითო მოქმედებიანი კომედია. იყო აგრეთვე კონცერტული განყოფილება. დასასრულ ლატარეა-ალეგრი. საღამომ კარგათ ჩაიარა, სულ შემოვიდა 23 ათასი მანეთი, ბიბლიოთეკას დარჩა წმინდა შემოსავალი 17 ათასი მან. სამკითხველოს გამგეობა მადლობას სწირავს სახალხო უნივერსიტეტთან არსებულ დრამატიულ წრეს, ალ. წუწუნავას, ალ. ჟორჟოლიანს და ყველა მას ვინც მონაწილეობა მიიღო საღამოში.

გამგეობა.

პროვინცია

ატენის თემი. (ქართლი). 7 დეკემბერს ახალქალაქიდან ამოვიდნენ მილიცია თავიანთ უფროსით ასლამაზაშვილით სოფ. ფლეში, ლულში, დიდთავში, ნათლიმცემელში, ფიცესში. ხალხი შეავიწროვეს, სცემდენ, ლანძღავდენ და ისე ართმევდენ იარაღს. შეძლოთ კი უდავიდარაბოთ ჩამოერთმიათ იარაღი. სოფელ ფლეში ძლიერ სცემეს არსენ გაზაევს, სცემეს მუკა ხუბულურს, მოხუცი 70 წლის ვასო გაზაევს, ნიკო გაზაევს და სხვებს.

სოფელ დითავში ავადმყოფებს გაბუ და ესტა თადტაევებსაც კი სცემეს. ასეთი ქცევა დასაშვები არ არის. ასეთმა ვაჟბატონებმა ხალხს მთავრობა შეაძულეს.

ჩვენი კუთხე (ყოფილი ახალსოფლის საზოგადოება) შედარებით სხვა საზოგადოებებთან მშვიდობიანი საზოგადოებაა. ამ ბოლო დროს ჩვენ საზოგადოებას არეულობაში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია. ხალხმა გაიგო, რომ ყაჩაღების ბრბოს ხალხის ბედნიერება არა სურს, იმათ ხალხის დაღუპვა სურდათ.

მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენი საზოგადოება ასე მშვიდობიანათ ცხოვრობს, მაინც ასე ცუდათ ეპყრობიან ხალხს. იმედი გვაქვს მთავრობა ყურადღებას მიაქცევს ასეთ მოვლენებს.

20 დეკემბერს ბელიკლიუჩის თემიდან გადმოვიდა იქაური მილიციის უფროსი სიმონ დუმბაძე 60 ვერსის მანძილზე სოფელს ბორცვანაში თავისი 15 მილიციონერით: „ცეპი შემოარტყეს სოფელს, წაართვეს იარაღი,—ამასთანავე იაგორა და ბეტი გაგლოევს და რიბო ყალავაკოვს წაართვეს 18 სული ხარი და ძროხა, 5 ცხენი. არც ერთი სული არ დაუტოვეს საქონელი. ბევრი ეხვეწნენ, მაგრამ სულ ტყუილად. ქალების და კაცების ტირილს და ღრიალს დუმბაძემ არავითარი ყურადღება არ მიაქცია. საქმე იყო შემდეგში: ერთ ბელიკლუჩის რაიონის ოსს მოუყიდნია საქონელი ს. ბორცვანაში მცხოვრებლებ ივანე, ძიძილა გაგლოევებისთვის და ქარუმა ყალავაკოვისთვის. საქონელი აღმოჩნდა ნაქურდალი. დუმბაძემ დაატუსაღა ივანე, ძიძილა გაგლოევები და ქარუმ ყალავაკოვი და წაიყვანა, თან გაიყოლა ოჯახის საქონელი—რომლებშიაც არ ერია ნაქურდალი საქონელი. ბ. დუმბაძემ რაც ქონებები დაიჭირა, ოჯახის საკუთარი საქონელი აღარ უნდა წაესხა. ს. ბორცვანა შედის ატენის თემში და ამის შესახებ ატენის ერობამ არაფერი იცოდა. ამ ამბავმა ხალხი ააღელვა. ხალხში გაიძახიან: ჩვენ უპატრონო არა ვართო ჩვენ ჩვენი ერობა გვაქვს როგორც თემის, ისე მაზრის და თუ დამნაშავეები ვართ, დე იმათ დაგვსაჯონო.

ხიონ.

განცხადებანი

დავკარგე

სადგურ ნიგოითში თავისუფლების ბილეთი და პასპორტი მოცემული სამხედრო უწყებიდან მნახველს ვთხოვ გამომიგზავნოს სად ნატანებში ჯარისკაცის ვანო ჯაბუას სახელზე წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლება გაუქმებულად.
(105—1—1)

ექიმი ნ. ა. ზაზრაძე
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“-ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფები მიიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი: [illegible] ქუჩა № 33

ექიმი ქალი ე. ხ. ბებურიშვილი. ღებულობს ავადმყოფებს შინაგან, ქალთა და ბებიობის ნაწილებში დილით 10—12 საათამდე საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: იზმაილოვის ქუჩა № 28
(თ. 3065).

ქ. ხონში იყიდება სამთვალი ხის
სახლი
ახალ შენებილი და კრამიტით დახურული. მსურველთ შეუძლიათ პირობები გაიგონ იქვე, ნ. ჭავჭანიძის [illegible] ქარხანაში
(3449—6—6)

დოქტორი მედიცინის
ა. ა. [illegible]
სნეულებანი შინაგანი და ნერვების. წამლობა ელექტრონით, ლურჯი სინათლით გიპნოზით და შთაგონებით ავადმყოფობანი კუჭნაწლავისა, სიდამბლის და სქესობრივი სისუსტისა.—მიღება დილით: 10½—1 საათ. საღამოთი: 6—7 ს. ხუთშაბათს გარდა კვირაობით არ მიიღება ავადმყოფები. პლეხანოვის ქუჩა (მიხაილოვის პროსპ.) № 111. ტელ. 13—42. (თ.—3)

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე
შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს 12—1 ნაშ. ს. მისამართი: მადათოვის ქუჩა, № 7, ალექსანდრის ბაღის პირდაპირ. (ტელეფონი 16—65.) (თ. 3463)

თვალის ექიმი
ზ. მ. ცხვედაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 1—3 საათამდე. იზმაილოვის ქუჩა № 11. მოსკოვის ქუჩიდან პირველი შესახვევი. (თ. 3322)

ექიმი ა. ლევენშტეინი
შინაგანი და ქალთა სნეულებანი. ექიმობა და გამოკვლევა ყველა თანამედროვე საშვალებებით. სპეციალურად: გულის, ფილტვების, კუჭ ნაწლავების, [illegible] და ნერვიულ სისტემის. რენტგენისა და ფიზიოთერაპევტიური კაბინეტი. მიღება დილის 11—12 და საღამოს 4—8 საათ. კრილოვის ქ. № 5, ბინა 3. (თ. 3372)

დოქტორი მედიცინისა ყოფ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა
გ. გ. მეგრაბიანი
შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა იღებს რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში. გასინჯვა და წამლობა X სხივებით. ჭლექების ოპერაცია—პნევმოტორაქსი. ყოველ დღე დილის 9—12 საათ. და საღ. 5—8 საათ ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92.
3230—თ.

ექიმი ლ. მ. ჯავახიშვილი.
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებათ ავადმყოფებს დილით 8—9 ს-დის და საღამოთი 4—6 ს-დის. მიხეილის პროსპ. № 64. (საავადმყოფოს ახლოს) ტელეფ. 14—60. (თ.—2662.)

ექიმი ლ. ა. ხარაძე.
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებათ ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87, ავჭალის ტრამვაის ახლოს.

ვაგზლის კერძო სამკურნალო
(ვაგზლის ქ. შიხინოვის აფთიაქის გვერდით, ტელ. 6—95)
ექ. არუთინოვი შინაგ. და ბავშ. ყოველ დღე 10—11 ნაშ.
ექ. გართაბინოვი—ვენერ. და კანის სნ. ყოველ დღე 1—2.
ექ. ბოკერია ქირურგ. ქალთა სნეულ და საბავშვო ყოველ დღე 10—11.
ექ. ქალი იოსელიანი ქალთა სნეულ საბავ. ხუთშ. და შაბ. 11—12.
ექ. კლდიაშვილი შინაგ. და საბავ ყოველ დღე 1—3.
ექ. ტუმანიანცი შინაგანი სნ. ყოველ დღე 11 ნაშ—1.
რჩევა 10 მ., კონსულტაცია 50 მან. ოპერაცია შეთანხმებით „606“ და „914“.
(2930—თ.)

ვისაც სურვილი აქვს სწრაფად იყიდოს ან გაყიდოს
სახლი
მამული, აგარაკი, ზღვისპირად მდებარე „ოჩასტკები“, ყოველგვარი უძრავი ქონება; ფაბრიკა, ზავოდი, წისქვილი და სხვ. მიმართოს
ინჟენერ [illegible]
დიდი არის მოთხოვნილება და მიწოდება. მდიდარი კლიენტურა. მყიდველთა სურვილის თანახმად უძრავ ქონებისა ტეხნიკ. შემოწმებს სპეციალისტი ინჟენერი. მისამართი: თფილისი, დავითის ქ. № 3. ბინა № 2. დილის 11—2 საათ. და საღამოს 5—7 საათ. ტელეფონი 2—28 (თფილისისა და საქალაქთა შორისო).
(97—1—1)

მიიღება ხელის მოწერა 1920 წლისთვის
დასურათებული საყმაწვილო ჟურნალი
„ნაკადული“
(წელიწადი მეთექვსმეტე)
ჟურნალს სუბსიდია ეძლევა განათლების სამინისტროსაგან. გამოდის გაფართოვებული პროგრამით საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.
მცირე წლოვანთა და მოზრდილთათვის
ჟურნალი გამოვა: მცირე წლოვანთათვის თვეში ორჯერ
„ „ მოზრდილთათვის „ ერთჯერ
წლიურად ორივე გამოცემის ფასი 150 მან.
ცალ-ცალკე . . . 85 „
ნახევარი წლით . . . 90 „
მისამართი: თფილისი, „ნაკადულის“ რედაქცია, რუსთაველის (ყოფილი გოლოვინის) პროსპექტის და დავითის ქუჩის კუთხე, შემო სასვლელი დავითის ქუჩიდან № 2, ტელეფონი № 7—56.
(6. 8—4)